

ISSN 1512-1593

**გელათის მეცნიერებათა
აკადემიის ჟურნალი**



**JOURNAL
OF GELATI ACADEMY
OF SCIENCES**

4

2023

ჟურნალი გამოდის უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II-ის

კურთხევითა და ფინანსური ხელშეწყობით

გამოდის 2002 წლის
სექტემბრიდან

ჟურნალის დამაარსებელი **მაგალი თოდუა**

მთავარი რედაქტორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ეკა დადიანი

რედაქტორი
ბელა სურგულაძე

სწავლული მდივანი
თაბარ ლეკვიშვილი

ქუთაისი - 2023

ყდაზე - ზანა (VII ს, ტაო)

ნომადი ბართაია

**სპარსულიდან შემოსული
ადმოსავლური ნასესხობების შესახებ
ქართულ ჟარგონში
(ვასება, კაიფი, ოფსილა, სირი, შაყირი)**

ქართულ ენაში დიდი რაოდენობით არის შემოსული არაბულ-სპარსული ლექსიკა, რომელშიც პირობითად იგულისხმება ის არაბული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ირანში არაბთა შემოჭრის შემდეგ (VIII ს.) დამკვიდრდა და სპარსული ენის ლექსიკური ფონდის საკუთრება გახდა.

ირან-საქართველოს შორის საუკუნეთა სიღრმიდან არსებობდა პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობანი, რომელმაც განსაკუთრებით ირანში სეფიანთა მმართველობის ხანაში (1501-1722) იჩინა თავი და გაგრძელდა იგი ყაჯართა დროსაც, მე-19 საუკუნეში.

ყოველივე ამას მოჰყვა დიდი რაოდენობით არაბულ-სპარსული ლექსიკის შემოსვლა ქართულში როგორც წერილობით, ისე ზეპირი გზით.

ამ ხანებში თბილისი დასახლებული იყო დიდი რაოდენობით ეთნიკურად ჭრელი ხალხით, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ერთგვარი თბილისური მეტყველებაც.

სწორედ ამ მეტყველებიდან დაილექა ქალაქურ ჟარგონში არაბულ-სპარსული ლექსიკა, რომელთა გარკვეული რაოდენობა არის წარმოჩენილი ნაშრომში, ესენია: **ვასება, კაიფი, ოფსილა, სირი, შაყირი.**

ვასება

ქართულ ჟარგონში არის სიტყვა **ვასება**, რომელიც „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ ზმნური მესამე პირის ფორმით ასეა განმარტებული: ე ვ ა ს ე ბ ა – მოსწონს; სიამოვნებს. „სქელი ხარ და თხელები გ ე ვ ა ს ე ბ ა“ (თამაზ კვაჭანტირაძე. თარგმ.); „ის მოწინავე სტუდენტი გოგოც ე ვ ა ს ე ბ ო დ ა“; „ამ წუთში ყველაზე უფრო წიგნის კითხვა მ ე ვ ა ს ე ბ ო დ ა“ (დალი ფანჯიკიძე, თარგმ.); „ევას ადამი ევასა და ადამს ევა ევასა, სხვა არც ჰქონდათ ვარიანტი ადამსა და ევასა“ (ვახტანგ ჯავახიძე) (ბრეგაძე 2005).

„ჩვენებურების ქართულ ლექსიკონში“ შეტანილი სიტყვა ე ჰ ა ვ ა ს ე ბ ა, რომელიც განმარტებულია ასე: (არაბ. Heves – ხალისი, სურვილი, მისწრაფება, გატაცება) ეხალისება, ესწრაფვის, „ჩემ ბახალას (გოგონას ნ. ბ.) ისინი ეჰვასება“ (იმერხელი).

ეს სიტყვა ამავე ლექსიკონში შეტანილია შემდეგი ფონეტიკური ფორმითაც „ე ჰ ე ვ ე ს ე ბ ა – ეხალისება, სურს, ესწრაფვის; ჰ ე ვ ე ს ო ბ ს – ისწრაფვის, სურვილი აქვს, სწადია, ნატრობს, აპირებს.

ასევეა შეტანილი ზმნის საწყისი ფორმაც: **ჰევეს-**ი (არაბ. heves) – მისწრაფება, ხალისი, სურვილი, ინტერესი.

ლექსიკონში ეს სიტყვა არის თურქული გაფორმებითაც – **ჰევესლი** (hevesli) – მისწრაფების, წადილის მქონე, ხალისიანი, რაიმე საქმის მოყვარული (ფუტკარაძე 1993).

ლექსიკონში სწორად არის მითითებული ჩვენთვის საინტერესო სიტყვის არაბული წარმომავლობა და ასევე ზუსტად არის განმარტებული იგი. حاص havās არის მრავლობითის ფორმა სიტყვისა حاس has (Баранов 1957).

حاص havās არაბულიდან შესულია სხვა აღმოსავლურ ენებში, მათ შორის თურქულშიც, საიდანაც ის, მცირე ფონეტიკური ცვლილებით, მოხვედრილია ჩვენებურების ქართულ მეტყველებაში.

როგორც ჩანს, حاص havās თბილისურ მეტყველებაშიც ყოფილა შემოსული, სადაც ჟარგონის სახით დამკვიდრებულია.

ე ჰ ა ვ ა ს ე ბ ა-დან მეორე ჰ ა მარცვლის დაკარგვა და ე ვ ა ს ე ბ ა ს მიღება ფონეტიკურად სირთულეს არ წარმოადგენს.

კაიფი

არაბულ ენაში არის ლექსემა كَيْفَ kayf. მისი მნიშვნელობაა კ ა რ გ გ უ ნ ე ბ ა ზ ე ყოფნა (Баранов 1957; Рубинчик 1983).

ქართულში ეს სიტყვა ორი მნიშვნელობით არის დამკვიდრებული: სალიტერატურო ენაში – ქ ე ი ფ ი და ჟარგონში – კ ა ი ფ ი.

ქართულ ლექსიკონებში ისინი ასეა განმარტებული:

ქეიფი – პურის ჭამა და ღვინის სმა ბევრისა ერთად, რასაც თან ახლავს მხიარულება, დროსტარება, ნადიმი... (ქეგლ);

კაიფი – ნარკოტიკული ნივთიერების მიღებით გამოწვეული თრობა; გადატანით: ნეტარება, სიამოვნება (ფონეტიკურად მცირეოდენ სახეცვლილი იგივე სიტყვაა, რაც არაბულიდან შემოსული „ქეიფი“ (ზრეგაძე 2005).

როგორც ჩანს, ეტიმონმა كَيْفَ kayf, „ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებით გამოწვეული თრობის“ – კ ა ი ფ ი ს სახით გაიკვლია გზა (შესაძლოა რუსულის გავლით) ქართული ჟ ა რ გ ო ნ ი ს კ ე ნ, ხოლო მეორემ, ქართული სუფრის – ქ ე ი ფ ი ს გავლით – ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ქართულისკენ.

ოფსილა

ქართული ენის თბილისურ ჟარგონში არსებული სიტყვა ოფსილა მხოლოდ იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ ფიქსირდება შემდეგი განმარტებით: არაქათი, ძალ-ღონე, ენერგია. ამ სიტყვის მეორე ნაწილი – სილა რაიმე დამოკიდებულებაში ხომ არ არის რუს. „სილასთან“? (გრიშაშვილი 1997).

ჩვენი აზრით, ოფსილას არაფერი აქვს საერთო რუსულ „სილასთან“. იგი მომდინარე ჩანს არაბულ-სპარსული ლექსემიდან حواسه حواسه ho[w]se(a)le, რომლის მნიშვნელობებია 1. ჩიჩაყვი 2. მოთმინება, განწყობილება (Баранов 1957; Рубинчик 1983).

ჰოუსალა მეორე მნიშვნელობით (მოთმინება, განწყობილება) არის დამკვიდრებული ქართულ ჟარგონში.

სირი

ქართული ენის თბილისურ ჟარგონში იხმარება სიტყვა სირი, რომელიც ლ. ბრეგაძის ქართული ჟარგონის ლექსიკონში განმარტებულია ასე: ფალოსი (ძველ ქართულში ჩიტი, ფრინველს ნიშნავს)... (ბრეგაძე 2005).

ამავე ლექსიკონში შეტანილია ამ სიტყვიდან ნაწარმოები სიტყვა სირისტანი, შემდეგი განმარტებით: – წამხდარი, დამპალი (ადამიანი); ქალაქუნა. უნდა მომდინარეობდეს რუს. სიტყვიდან сырость – სინესტე.

საბასთან სირი ასეა განმარტებული: ჩიტი, ს ი რ ი სირაქლემს იტყვიან (ორბელიანი 1993).

საექვო არაფერია იმაში, რომ სირი ძველ ქართულში ნიშნავს „ჩიტს“, მაგრამ საექვოდ მიგვაჩნია ქართულ ჟარგონში მისი ჩიტთან გაიგივება.

სპარსულ ენაში არის ლექსემა شیره šīre, შემდეგი მნიშვნელობებით: 1. წვენი. 2. შედედებული წვენი, სიროპი. 3. ღვინო, მაჭარი. 4. საგანგებო ნივთიერება, უფრო ძლიერი, ვიდრე ჩვეულებრივი ოპიუმი, რომელიც მიიღება ყალიონში დარჩენილი ნამწვისგან (Рубинчик 1983).

ჩვენი აზრით, არც სირს აქვს რაიმე საერთო ძველ ქართულ სირთან („ჩიტი“) და არც სირისტანს რუსულ сырость („სინესტე“)-თან. ის უნდა მოდიოდეს სპარსული სიტყვიდან شیره šīre.

შირე მიღებული ადამიანი არის გამოშირებული ანუ გამოსირებული ანუ სირი.

ფონეტიკური გზა ასეთი ჩანს: šire > širi > siri.

შაყირი

ლ. ბრეგაძე თავის „ქართულ ჟარგონთა ლექსიკონში“ ასე განმარტავს შაყირს: ხუმრობა, მასხრობა. მომდინარეობს სიტყვიდან – „შაირი“... (ბრეგაძე 2005).

ეს ჩვენი მოსაზრებაცაა და ვინაიდან შაირიდან შაყირის მიღების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერი შეგვხვედრია, თავს უფლებას მივცემთ, ყურადღება შევაჩეროთ მასზე.

უპირველესად ჩავიხედოთ ქართულ ლექსიკონებში და ვნახოთ, თუ როგორ არის განმარტებული ჩვენთვის საინტერესო ლექსემა:

შაირი – 1. თექვსმეტმარცვლიანი ოთხტაეპიანი ლექსი, 2. ლექსი საზოგადოდ, 3. სახელდახელოდ თქმული, გამკილავი შინაარსის ჩვეულებრივი ოთხტაეპიანი ლექსი (ქეგლ).

შაირი – არაბ. (შაჰერ – ლექსი) 1. ლექსი, 2. ქართული კლასიკური ლექსის ძირითადი საზომი, თექვსმეტმარცვლიანი... სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია შაირის ოთხი სახეობა – მაღალი და დაბალი (ჭილაია... 1984).

საკმაოდ ვრცლად განმარტავს ამ ტერმინს თეიმურაზ ბაგრატიონი: თითო ტაეპი შაირისა ან შეერისა თექვსმეტმარცვლოვანნი არიან. შაირი, ვეფხისტყაოსნის ლექსები რომ არის ოთხტაეპოვანი, იმგვარ ლექსს ეწოდება ქართველ მესტიხეთაგან...

ამას მოსდევს ამ სიტყვის წარმომავლობაზეც მსჯელობა: არაბულად შაირი სტიხის მოქმედსა ეწოდების და შეერი სტიხსა... ქართულად შაირი არს (არა თუ ლექსის მთხზველი, არამედ თვით ლექსი შეთხზული (ბაგრატიონი 1979).

თ. ბარგატიონი მართებულად განმარტავს ამ ტერმინის მნიშვნელობას. მხოლოდ შენიშნავთ, რომ, სიზუსტის თვალსაზრისით, ორივე სიტყვის ტრანსკრიფცია უნდა იყოს: შეყრი და არა შეერი, შაყერ და არა – შაირი. ე. ი. ქართულში შაირი არის როგორც ზოგადად, ისე, კონკრეტულად, თექვსმეტმარცვლიანი ლექსის სახელწოდება.

არაბულად شاعر šē'r ნიშნავს ლექსს, ხოლო მისგან ნაწარმოები სახელი – شاعر شاعر šā'r – პოეტს.

რა საერთო აქვს ერთმანეთთან შაირსა და შაყირს?

XVIII საუკუნის დასასრულიდან, ანუ მას მერე, რაც საქართველომ გაწყვიტა პოლიტიკური კავშირი ირანთან და რუსულ-ევროპულ გზას დაადგა, ქართულ ლიტერატურაში დაიწყო აღმოსავლური გავლენისგან გამოსვლისა და ევროპული აზროვნებისკენ გადასვლის პროცესი. თანდათან მხატვრული სიტყვის გამოსახვის აღმოსავლურ ფორმებსა და ტერმინებს ჩაენაცვლა დასავლური, ასე მაგალითად, ჩვენთვის საინტერესო სიტყვამ შაირობა ადგილი დაუთმო ევროპულ ტერმინს – პოეზია, თვითონ კი განსხვავებული სემანტიკური დატვირთვითა და ფონეტიკური სახით – შაყირობა ჟარგონში გადაინაცვლა.

რამ გამოიწვია სიტყვის ასეთი ტრანსფორმაცია?

ამ კითხვაზე პასუხს XIX საუკუნის ევროპულად განათლებული ქართველი მოაზროვნენი გაგვცემენ, რომელთა შეხედულებანი აღმოსავლურ, კერძოდ სპარსულ, პოეზიაზე ასეთია:

ვახტანგ ორბელიანი:

„მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,

კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა,

იმ კილოთი რა იმღერო პოეტო,

თუ არ ღვინო, ტოლუმბაში და კინტო.

მათ დუდუკი, დიპლიპიტო და ზურნა,

მათ უაზრო ლაზღანდრობა, ყიჟინა?

მე არ მიყვარს სურათები ამგვარი,

მუხამბაზო, სხვას რას იტყვი, მითხარი“ (ორბელიანი

1980ბ: 181).

ალექსანდრე ორბელიანი:

„ქართველებო, აიღევით ყიზილბაშურს ყიყინზედ, იმათსიმღერებისხმაზედხელი. რაშეედრებაჩვენს მამა-პაპის სიმღერის ხმებსა, რომელიცა არის ჩვენი ამდენი ათასობით წლების ხმოვანება. მხოლოდ ჩვენი, კუთვნილი საკუთარი გალობანი, სიმღერანი და ღიღინები დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენი საქართველოს და იმერეთის ერნი არიან ძველი ივერიანელების შვილის შვილები, ვითარცა პიტალოს ოქროსგან ოქრო გამომდნარი და ამის შემდეგ გვმართებს თავის მოწონება თუ როგორ?“ (ორბელიანი 1980ა: 184).

ანტონ ფურცელაძე (თეიმურაზ პირველზე):

„ქეიფს, განცხრომასა და ნადირობას, დაერთო ზედ მელექსეობა, რომელიც იმას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ნერონს თავისი მუსიკობა, პოეტობა და მსახიობობა, რომ იმის ბადალი მელექსე არ გაჩენილა, უჯდა მთელი დღეობით ამ უშნო და უაზრო ლექსებს და აკლავდა თავის სიცოცხლეს შიგა. სწერდა ლექსს, სადაც არც ესთეტიკა, არც ხელოვნება, არც იდეა, არც რამე აზრი, არც რამე ისტორიული მხატვრობა, არაფერი ღვთისგან განაჩენი და უაზროდ გადატმასნილი სიტყვების რახარუხი“ (ფურცელაძე 1911: 138).

ილია ჭავჭავაძე (არტურ ლაისტის სიტყვები):

„საზოგადოდ ილიას სპარსული პოეზია არ მოსწონდა,

ამბობდა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მან ცუდი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე, რადანაირი გულწვილობა და აზრთა გარყვნილობა შემოიტანა“ (ჭავჭავაძე 1998: 342).

აკაკი წერეთელი:

„დავით აღმაშენებელი წინასწარმეტყველს ჰბაძავდა, ადიდებდა ყოვლის შემოქმედს, მისი იამბიკო ლოცვა იყო და ამის შაირობა (იგულისხმება თეიმურაზ პირველი – ნ. ბ.) ლაზღანდარობა“ (წერეთელი 1985: 194).

მოტანილი ამონარიდების კომენტირება ზედმეტად მიგვაჩნია, ისე ნათელია მათ ავტორთა დამოკიდებულება აღმოსავლური პოეზიისადმი.

ასე თანდათან, XIX საუკუნის დასაწყისიდან, გამომდინარე ახალი რეალობიდან, შაირობა – მასხრობად, ლაზღანდარობად, შაყრობად იქცა.

ფონეტიკური თვალსაზრისითაც შაირიდან შაყრის მიღება კანონზომიერი მოვლენაა.

ამგვარად, თბილისურ ჟარგონში საკმაო რაოდენობით გვხვდება არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულები, რომელთაც გარკვეული ფორმოზრივი თუ სემანტიკური ცვლილებები განიცადეს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბრეგაძე 2005 – ბრეგაძე ლ., ქართული ჟარგონის ლექსიკონი. თბილისი, 2005.

გრიშაშვილი 1997 – გრიშაშვილი ი., ქალაქური ლექსიკონი. თბილისი, 1997.

ორბელიანი 1991 – ორბელიანი ს-ს., ლექსიკონი ქართული. თბილისი, 1991.

ორბელიანი 1980ა – ორბელიანი ა, ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. კრებულიშ შემდგენლები: ი. ევგენიძე და ვლ. მინაშვილი. თბილისი, 1980.

ორბელიანი 1980ბ – ორბელიანი ვ., ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. კრებულიშ შემდგენლები: ი. ევგენიძე და ვლ. მინაშვილი. თბილისი, 1980.

ფურცელაძე 1911 – ფურცელაძე ა., გიორგი სააკაძე და მისი დრო. თბილისი, 1911.

ფუტკარაძე 1993 – ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი. ბათუმი, 1993.

ქეგლ 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 1986.

წერეთელი 1985 – წერეთელი ა., ბაში-აჩუკი, ქართული პროზა, ტ. IX. თბილისი, 1985.

ჭილაია... 1984 – ჭილაია ა, ჭილაია რ., ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები. თბილისი, 1984.

Баранов 1957 – Баранов Х., Арабско-русский словарь. Москва, 1957.

Рубинчик 1983 – Персидско-русский словарь, под редакцией Ю. Рубинчика. Москва, 1983.

NOMADI BARTAIA

**ABOUT ORIENTAL BORROWINGS IN GEORGIAN
THAT HAVE TURNED INTO SLANG
(WASEBA, KAIFI, OFSILA, SIRI, SHAKIRI)**

Summary

A considerable amount of Arabic-Persian vocabulary has entered the Georgian language, which conventionally refers to those Arabic lexical units that were established in the Persian language after the Arab invasion of Iran (8th century).

Political and cultural relations existed between Iran and Georgia from the depths of centuries, which was especially eminent during the era of Safavid rule in Iran (1501-1722) and continued in the 19th century. As a result of this, a number of Arabic-Persian lexical units were introduced and established in Georgian, both in writing and orally.

In those times, Tbilisi was inhabited by ethnically diverse people, as a result of which a kind of Tbilisian speech was formed. It was from this speech that the Arabic-Persian vocabulary was deposited in the urban jargon, some of which are mentioned in the work, namely: waseba, kayfi, ofsila, siri, shakiri.

waseba ← سواح havās (“aspiration, joy, desire”); kaif-i ← keyf (“taking pleasure; a good mood”); ofsila ← ملصوح ho[w]se (a)le (“patience, endurance”); siri (“dull, stupefied”) – مریش ššire („1. juice; syrup; 2. A substance stronger than opium, which is obtained from the residue left in the pipe”); shakir-i (“to mock at someone”) ← رغاش šā’r (“a poet”).

დალილა ბედიანიძე

**ცხოველები ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში
(მგელი, ხარი, ძროხა)**

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში არაერთგზის გვხვდება ცხოველები, როგორც შინაური, ასევე გარეული, ხან – ჩვეულებრივი, ხან კი – ჯადოსნური. ისინი არიან: ცხვარი, ძროხა, კამეჩი, თხა, მელა, ირემი, ცხენი, შველი, დათვი, კურდღელი და სხვა. ზოგჯერ ეს ცხოველები სათითაოდ გვხვდებიან, ზოგჯერ კი – კრებითი სახით, ერთიანდებიან სახელწოდების ქვეშ „ნადირი, საქონელი“. საქონელი უფრო შინაურ, ჩვეულებრივ ცხოველებს აერთიანებს – ძროხა, ცხენი, ცხვარი, კამეჩი (მაგ., „ძმა და ორკბილა და“ – უმიკაშვილი 1964: 50-53). რაც შეეხება ნადირს, ამ ტერმინის ქვეშ უფრო გარეული, ჯადოსნური ცხოველები ერთიანდებიან, რომლებიც ეხმარებიან ზღაპრის გმირს, მკვდრებით აღადგენენ მას, მის ბრძანებას ასრულებენ. ზღაპარში „არეცია“ მონადირეს თავისმა მზეთუნახავმა ცოლმა მისცა ვაშლი. სადაც ეს ვაშლი მიგორდება და გაჩერდება, იქ მოითხოვე საყვირი. მინდორში დააყვირე და რაც ქვეყანაზე ნადირია, ყველა მოგროვდება და უთხარი შენი გაჭირვებაო. მონადირემ უთხრა ნადირებს – ეს ქალაქი, წყლის გაღმა რომ არის, ხვალ დილამდის გამოდმა გააშენეთო. ნადირებმა ასეც ჰქნეს (ხალხური სიბრძნე 1964: 114-117). ზღაპარში „ზღაპარი სპილენძის მგლისა“ მგელმა ბიჭს ბალანი მისცა და როცა ბიჭმა გამოხსნა ბეწვი, სადაც რამ ნადირი იყო, იქ გაჩნდნენ. ეცნენ გველეშაპს და მოკლეს.

ერთმა მეეტლემ ქალებს ათქმევინა, რომ გველუშაპი თვითონ მოკლა და ხელმწიფემ ეს მეეტლე დასვა ხელმწიფედ. ბიჭი დაიღალა და ნადირს უთხრა, უნდა დავიძინო და მიყარაულეთო, რადგანაც მეეტლეს იმის მოკვლა უნდოდა. ყარაულობა მელას დაავალეს, უფრო ფხიზელი არისო, მაგრამ მელასაც დაეძინა. მეეტლე მიეპარა ბიჭს და ყელი გამოსჭრა. გამოედვიდათ ნადირებს, ელდა ეცათ. გამაცოცხლებელი წყლის მოსატანად ნადირებმა გაგზავნეს ჯერ მელა, მერე კურდღელი, ორივე მოკლეს. მერე დათვმა იმარჯვა, ერთ თევზს შვილები დაუხოცა, გამაცოცხლებელი წყალი მომიტანე და გაგიცოცხლებ შვილებსო. თევზმა წყალი მიუტანა. დათვმა ბიჭი გააცოცხლა. ბიჭმა ნადირები დაითხოვა, წავიდა იმსახლეში, სადაც ქალები იყვნენ. მეეტლის ტყუილი გამოიჩვენა და ის ცხენის კუდზე გამოზმული დაგლიჯეს. ბიჭმა ჯვარი დაიწერა მზეთუნახავზე (ხალხური სიტყვიერება 1956: 203-207).

ზღაპარში „მონადირე ბიჭი“ ერთ მონადირე ბიჭს შეხვდა ჯერ კურდღელი, მერე მელია – ტურა, მგელი, ვეფხვი, დათვი, ლომი, ყველა ნადირი, რომლებიც ფეხებში შეუძვრნენ ბიჭს და ამანაც აღარ მოკლა. წავიდოდა ბიჭი, გაჰყვებოდა ნადირი, გაჩერდებოდა – ნადირიც დგებოდა. ერთმა მეეტლემ ბიჭს თავი მოჭრა და ქალი წაიყვანა. ბიჭის ნადირმა მოინდომა ბიჭი გააცოცხლონ, მაგრამ წამალს ვერ შოულობენ. ბოლოს კურდღელმა მიიტანა წამალი და ბიჭი გააცოცხლა. ბიჭმა გაგზავნა კურდღელი ქალთან, ქალმა ნახა კურდღელი, შეხსნა ყელიდან ბიჭის წერილი, მე მოვდივარ ჩემი ნადირით და უნდა გამიმასპინძლდეო. გაირკვა სიმართლე, ქალის მამამ დაპატიჟა ბიჭი თავისი ნადირებით. დახოცეს ძროხები და მიუტანეს ნადირს. არაყი ქვაბებით დადგეს. დათვმა დალია და დათვრა, ხეხილს აფუჭებდა და დააბეს. ბიჭი ცოტა ხნით წავიდა, თან გაჰყვა თავისი ნადირი. ჯერ კურდღელი დააკლდა, მერე – მელია და სხვები და მერე ბიჭი გაქვავებულ ქალაქში მივიდა, რომელიც ქალ-ვაჟის დალაპარაკებაზე გაცოცხლდა (ხალხური სიტყვიერება 1952: 226-229).

საინტერესო სახეს ქმნის მგელი ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში. აქ იგი არის როგორც ჩვეულებრივი მტაცებელი ცხოველი, ასევე ზღაპრის გმირის ქომაგი, მჩუქებელი,

არიგებს და ეხმარება მას. ზღაპარში „ცეროდენა“ ერთმა მგელმა ცეროდენას შეჭმა დაუპირა და იგი პირში მოიქცია. მგელს ერთი კბილი სტკიოდა. ჩაუჯდა ცეროდენა მოტეხილ კბილში და დაუწყო მგელს ჩხვლეტა თავისი წვეტიანი ჯოხით. მგელს კბილი ძალიან ეწვოდა. შეჰვიცა ცეროდენას, ოღონდ კბილიდან გამოდი და ოქროსმატყლიან ერკემალს გაჩუქებო და აჩუქა კიდეც“ (ხალხური სიბრძნე 1964: 9-11).

ზღაპარში „ეშმაკის ლაგამი“ როცა ბუნწი კაცი მინდორში თავის ცხვრებს მიერეკებოდა, ნახა, რომ მგელს ერთი უსახელო, ეშმაკის პატარა შვილი უჭირავს პირში და მთარბენინებს. მეცხვარემ მგელს თოფი ესროლა და გააგდებინა ეშმაკის შვილი (იქვე: 15-17).

ზღაპარში „გლეხი, მოლა და ეშმაკი“ მგელი ეშმაკს დასაჭერად გაეკიდა, მაგრამ გლეხმა მგელი გააგდო და ეშმაკი გადაარჩინა. იქცა ეშმაკი თეთრ სახედრად (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 64-67).

„ფისასოს ზღაპარში“ ერთ ხელმწიფეს სამი ვაჟი და სამი ქალი ჰყავდა. უმცროსმა ვაჟმა მამის ანდერძი შეასრულა – დები პირველსავე მთხოვნელს გაატანეთო და თავისი დები ცოლად გაატანა პირველივე მთხოვნელებს... ბუს, მგელს და შევარდენს, ე.ი. მგელი აქ ხელმწიფის სიძე ხდება (ხალხური სიბრძნე 1964: 45-50). ასეა ეს ზღაპარშიც „ულუნო და ხელმწიფის შვილი“. ხელმწიფის უმცროსმა ვაჟმა შეასრულა მამის ანდერძი და უმცროსი და პირველ მთხოვნელს – მგელს მიათხოვა. სხვა ორი უფროსი და კი დათვს და არწივს მგელმა მისცა ბიჭს ერთი ბეჭედი – ენა წაუსვი, როცა დაგჭირდე და ჩემი ჯარით იქ გავჩნდებიო. ულუნოს ცხენების ჭის ამოსაშრობად დათვმა ბამბა მოიტანა, ღვინო არწივმა იშოვა. მზეთუნახავი რომ მოჰყავდათ, ჩიტებმა ჭიკჭიკი დაიწყეს სიხარულისგან, დათვმა ბუტბუტი, მგლებმა ყმუილი. მგლებს დაევალა ორმოცი ცხვრის მოყვანა (იქვე: 141-151).

ზღაპარში „უმცროსი ვაჟი და მგელი“ ხელმწიფის უმცროსი ვაჟი თავისი ძმების შემდეგ წავიდა ოქროს ნაყოფის შემჭმელი ქურდი ფრინველის მოსაყვანად. ერთი ხის ქვეშ ქვა იდო და ეწერა: მარჯვნივ წახვალ – წყალში ჩავარდები, მარცხნივ – ცეცხლში, შუა გზაზე კი მგელი შეგჭამსო. ყმაწვილმა მგლისკენ წასვლა არჩია. გზაში მგელმა ცხენი შეუჭამა. ყმაწვილმა მგელს ყველაფერი უამბო.

მგელმა აუთხრა: შემაჯექ ზურგზე და მე დაგეხმარებო. მგელმა სასახლეში მიიყვანა ბიჭი, უთხრა, გალიას ხელი არ ახლო, ფრინველი გამოიყვანეო, მაგრამ ბიჭი შეეხო გალიას და დაიჭირეს. ხელმწიფემ ვაჟს ოქროსფაფრიანი ცხენის მოყვანა დაავალა. მგელმა ისევ დაარიგა, ოქროს უნაგირს ხელს ნუ ახლებ, მხოლოდ ცხენი წამოიყვანეო. ამ ხელმწიფემაც დაიჭირა ბიჭი და მზეთუნახავის მოყვანა დაავალა. მგელმა ბიჭს უთხრა, მხოლოდ ქალი წამოიყვანე, თორემ ვეღარ გიშველიო. ბიჭმა ქალი წამოიყვანა, მგელი იქცა ჯერ მზეთუნახავად, მერე – ოქროსფაფრიან ცხენად. ყმაწვილმა მიიღო სასურველი ფრინველი და მგელმა მას უთხრა, სამივე შენია, წაიყვანეო. როგორც ვხედავთ, აქ მგელი მეტამორფოზებს განიცდის და ჯადოსნური ცხოველია (იქვე: 117-119). შდრ. ზღაპარი „ოქროს ხილი“ (ხალხური სიტყვიერება 1956: 170-172).

ზოგჯერ მგელი მზის საუფლოში მზის მსახურია. ასეა ეს ზღაპარში «მზის ასული» (იყო და... 1977: 685-696). აქ მგელმა ერთი ცხვარი მოსტაცა ბიჭს ფარადან, რის გამოც ბიჭმა სცემა მგელი, რომელიც მზის კარზე ნახა. ზღაპარში „მზის სიძე“ მგელმა კეისრის ჯოგიდან ფეხმოტეხილი კრავი მოიტაცა. ბიჭი წავიდა მგელზე შურის საძიებლად, მზესთან მივიდა, იქ ნახა ელია და მგელი, რომლებიც სცემა. მზე გაუბრაზდა, მაგრამ ბიჭმა ყველაფერი აუხსნა“ (უმიკაშვილი 1964: 176-183).

ზღაპარში „ნანათ-მონადირე“ ჩვეულებრივი მგლები ცხვარს ეტანებოდნენ და ისინი ძალად ქცეულმა ნანათ-მონადირემ დაახრჩო (იქვე: 80-82), ისევე, როგორც ზღაპარში „ავი ცოლი“ გვხვდება ჩვეულებრივი მგლები, რომლებიც კაცმა დახოცა (იქვე: 253-256).

ზღაპარში „ორი ღარიბი კაცი“ ერთმა ღარიბმა კაცმა წისქვილში ღამით დამალულმა უსმინა მგელს, დათვს და მელას. მელიამ თქვა ოქროების პატრონი თავვის ამბავი. მგელმა თქვა: ზღვათა ხელმწიფეს სიბერის დროს ვაჟი შეეძინა, ის შვილი ათი წელია ლოგინში უწევს, ვერავინ შველის. ამა და ამ მეცხვარის ფარაში ერთი ყბაშავი ცხვარია, იმის გულ-ღვიძლი რომ შეაჭამონ, მაშინვე მორჩებაო. დათვმა თქვა უწყლო სოფლის ამბავი. ღარიბმა კაცმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მოისმინა და გამდიდრდა. მეორე

ღარიბ კაცს შემუშრდა მისი, თვითონაც მოუსმინა წისკვილში ცხოველებს, მაგრამ მათ ის ასო-ასო დაგლიჯეს. როგორც ვხედავთ, მგელი აქ საკრალური ცოდნის მფლობელია და ქომაგი ცხოველია დათვთან და მელიასთან ერთად, ხოლო ყბაშავი ცხვარი განკურნების უნარის მქონეა (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 96-104). იგივე მოტივები და პერსონაჟები გვხვდება ზღაპარში „ღარიბი ბიჭი და სოვდაგარი“ (უმიკაშვილი 1964: 165-169).

ზღაპარში „ზღაპარი სპილენძის მგლისა“ ერთ ხელმწიფეს ჰყავდა სამი უცოლო ვაჟი, რომლებიც წავიდნენ იადონისა და ბულბულის მქონებელი მზეთუნახავის მოსაყვანად. ორი უფროსი ძმა რომ წავიდა, გზად ერთი მგელი შეხვდათ და იმას უთხრეს თავიანთი ამბავი. მგელმა უთხრა: ერთი ლუკმა მომიგდეთ და მე გასწავლით იმის გზასო. ბიჭებმა უთხრეს: ლუკმას კი არა, შავ ჭირს მოგიგდებთო. ისინი მგელმა დასწყევლა და ქვებად იქცნენ. ეს მგელი იყო სპილენძისა. უმცროსი ძმაც შეხვდა ამ მგელს, იყიდა ცხვარი და შეაჭამა. მგელმა უთხრა: დამკალი და ამომაცალე თვალი; ზღვაში გადამავდე და დაშრება ზღვა და ისე გადიო. რო წამოიყვან იმ ქალს, ქვა, კლდე, ღრე ყვირილს დაიწყებს: „წაიყვანეს ქალი, იადონი და ბულბული და არ შეგეშინდესო. მერე რო გამოიარო, ისევ აიღე თვალი და ჩამარჭეო და გავცოცხლდებიო“. წამოიყვანა ბიჭმა ქალი და მგელს სთხოვა, გამიცოცხლე ძმებიო. – გაგიცოცხლებ, მაგრამ გიღალატებენო, უთხრა მგელმა. ძმებმა მართლაც უღალატეს ბიჭს, ჭიდან არ ამოიყვანეს და წავიდა ქვეშენთს. იქ სამი გველეშაპი მოკლა, რომელთაც წყალი ეჭირათ და მათგან იხსნა ხელმწიფის სამი ასული. მანამდე ბიჭს «მგელმა მისცა ერთი ბანალი, თანაც ეს უთხრა: საცა გაგიჭირდეს, იქ ამოიღე და რაც ქვეყანაზე ნადირია, იქ დაიბადებაო. გამოხსნა ბეწვი და იქ დაიბადნენ, სადაც რომ ნადირი იყო. დაიბაზა ბიჭმა: არიქა, ნადირიო, მიშველეთ, ეხლა მჭირდება თქვენი თავიო. ეცნენ გველეშაპს და მოკლეს (ხალხური სიტყვიერება 1956: 203-207). როგორც ვხედავთ, მგელი აქ მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგომად ღვთაებას უკავშირდება, გულთმისანია და ზღაპრის გმირის ქომაგი ცხოველი, რომელსაც ასევე ახასიათებს მეტამორფოზები.

ზღაპარში „ზღაპარი ტიტველი მგლისა“ ხელმწიფის შვილმა აკრძალულ წითელ მთაზე ინადირა, სამი ტიტველი მგლის ლეკვი ნახა და დახოცა. ხელმწიფე ამან ძალიან შეაწუხა, შვილს უთხრა, მოიკაზმე, საუკეთესო რაშზე შეჯგეპი და წადი, თორემ მოვა ტიტველი მგელი, შენც შეგჭამს და მეცაო. ვაჟი წავიდა. მივიდა ტიტველი მგელი ვაჟის მამასთან: – შენ შვილს რა დავუშავე, რომ შვილები დამიხოცაო? ამან მისცა, რაც საქონელი ჰყავდა. გადაჭამა მგელმა და წავიდა ვაჟის საძებრად. გაიგო ტიტველმა მგელმა, რომ ხელმწიფის შვილი დასავლეთის ხელმწიფესთან არისო. ამ ხელმწიფემაც დაუძალა მგელს ვაჟი, ცხვარ-ძროხა მისცა. დასავლეთის ხელმწიფემ ერთ მეცხვარესთან გაგზავნა ვაჟი. ამ მეცხვარემ კი ვაჟი დაარიგა – ამა და ამ კლდეზე ერთი კოშკია, შვიდ წელიწადში ერთხელ იღება კარი, იმ კოშკში ერთი ქალია, მის გარდა ვერავინ გიშველისო. დღეს იღებლად ღიაა მისი კარიო. ტიტველი მგელი მოვიდა და დაწვა ამ კოშკთან. შვიდ წელიწადში ისე დაიღია ეს მთასავით ნადირი, რომ ხბოსტოლა აღარ არის. ქალ-ვაჟმა ჩაუდგა კიბე. მოდის მგელი. შუა საფეხურზე რომ შედგა, ჰკრეს ერთბაშად კიბეს ხელი, გადმოაგდეს და მგელი სულ ერთიანად დაიმსხვრა (ხალხური სიბრძნე 1963: 159-164).

ზღაპარში „იადონი და ბულბული“ გვხვდება ჩვეულებრივი მგელი, რომელმაც ლეში გაათრია აკლდამიდან. უმცროსი ძმა მას მიჰყვა და მხოლოდ ასე გავიდა აკლდამიდან (ხალხური სიბრძნე 1963: 164-169). ასევე „ლილოველ მონადირეში“! გვხვდება ჩვეულებრივი მგლები, რომლებიც ცხვრებს ეტანებიან (იქვე: 348-352).

ზღაპარში „ქალთამზე“ მგლის ნალველი ადამიანის წამალია. მოწამლული ვაშლით გულწასულ ქალთამზეს ძმებმა პირში მგლის ნალველი ჩააწვეთეს. მგლის ნალველმა შხამი მოკლა და ქალთამზემ თვალები გაახილა (იყო და... 1977: 595-606).

მითოლოგიაში მგელი არაერთი კულტის დარაჯად გვევლინება; ზოგჯერ კი ის თავადაა გაფეტიშებული: რომაელებთან, როგორც რომის ლეგენდარული დამაარსებლების – რომულისა და რემის „ძიძა“... მეფე კიროსიც, ლეგენდის თანახმად, ასევე მგლის გამოზრდილი იყო; მონღოლებთან, რომელთა რწმენითაც, ათი დიდი ბელადის,

ჩინგიზ-ყაენის წინაპარი – „მაღალი ცით შობილი“, „რჩეული“, ნისლისფერი მგელი – ტენგრი გახლდათ და სხვა (აბზიანიძე... 2011: 137-138).

„საქართველოში ყველაზე უკეთ ჩვენთვის საინტერესო ცხოველთაგან მგლის კულტია შესწავლილი... მგელი მსოფლიო მითოლოგიაში ომის ღმერთს განასახიერებს. ის ქართულ ყოფაშიც საბრძოლო რიტუალთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, მეფე ვახტანგ I გორგასლად იწოდებოდა, რაც სპარსული სიტყვაა და მგელ-ლომს ნიშნავს“ (ჩოლოყაშვილი 2005: 86).

საინტერესო სახეებს ქმნის ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში ხარიც-კურო. ზღაპარში „მფრინავი მზეთუნახავი“ აღწერილია არწივისა და კუროს ორთაბრძოლა – „მოიქნია არწივმა კურო და მუხლებამდე მიწაში ჩაფლო. კურომ წელამდე ჩაფლო არწივი. კვლავ იმძლავრა არწივმა და ახლა კურო აღმოჩნდა მიწაში წელამდე ჩაფლული... მოსალამოვდა და არწივმა კურო გადაყლაპა (მეგრული ზღაპრები 1994: 5-16).

ზოგჯერ ხარებს საკუთარი სახელები ჰქვიათ, როგორც ეს ხდება „კვიკვილაშის ზღაპარში“. ბატონმა ახლა ოცდაათი ქცევა მიწის მოხვნა დაავალა ერთ დღეში ბიჭს. ცოლმა ბიჭს უთხრა, წადი ჩემს ტბასთან, ჩასძახე ლომასა და შანგულესო. მართლაც, ეს ხარები ამოვიდნენ რკინის უღლით, სახნის-საკვეთით, რკინის შოლტით და შეუდგა ბიჭი ხვნას. მერე დადლილმა ბიჭმა ჩათვლიმა. მზე გადაიწვერა. „მარიამმა ლომასა და შანგულეს უბრძანა: აბა, ამოიხვნეშეთ, თქვენი ჭირიმე და მზე დილის რიჟრაჟს დაუბრუნეთ“ (იქვე: 117-120). როგორც ვხედავთ, აქ ხარები მზეს უკავშირდებიან (გავიხსენოთ ბერძნული მითოსიდან ჰელიოსის ხარები). იგივე მოტივები გვხვდება ზღაპარში „მენახირე“ (ხალხური სიბრძნე 1964: 93-101), ოღონდ ხარები აქ არა ტბიდან, არამედ ჭაობიდან ამოდიან და ნიშა ხარები ჰქვიათ. ზღაპარში „ყმის ცოლი და ბატონი“ იხსენიებიან კუდთეთრი ხარები თავისი გამართულობით. ეს ხარები ჯადოსნური ცხოველები არიან (უმიკაშვილი 1964: 115-119).

„ამრაზგულის ზღაპარში“ გვხვდება ჩვეულებრივი ხარიც, რომელიც ღარიბმა გლეხმა უღლიდან გამოხსნა და დაუკლა მეფის შვილს (მეგრული ზღაპრები 1994: 126-

129). ასევე, ზღაპარში „ალმასხანი“ გაქვავებული ქალაქის ხელმწიფემ უამბო ალმასხანს: «სანაქებო ხარები მყავდნენ და ძალიან გახდნენ, რადგან ჩემი ცოლი ღამდამოებით ხარებით ერთ კოშკში დადისო, ჩემმა მეურმემ მითხრაო“ (უმიკაშვილი 1964: 90).

ზღაპარში „სამი ძმა და მათი და“ ხარს ბაბუ ჰქვია. სამ ძმას და მათ დას დედ-მამის სიკვდილის შემდეგ ურიცხვი ხარი და ძროხა დარჩა და ჯოგს ჰამდა. ძმები ჯოგს დარაჯობდნენ. ალქაჯმა დამ მხოლოდ ერთი ურქო ხარი – ბაბუ ვერ დაიმორჩილა. ეს ბაბუ უმცროსმა ძმამ ითხოვა წილში, წავიდა და წაიყვანა. შეხვდა ერთი შავი დევი მჟავე წყალზე, რომელსაც ხარის, ძროხისა და ცხენის ჯოგები ჰყავდა. დევის თხოვნით „მიუშვეს ერთმანეთთან ბაბუ და დევის ჯოგი. მაშინვე ეძგერა ბაბუ ჯოგს, ისე დამორჩილა, რომ კლდის ძირში მიიწყვდია მთელი ჯოგი“ (ხალხური სიბრძნე 1964: 138). მერე დევი და ბიჭი დაიჭიდნენ. დევმა აჯობა, მაგრამ მას ბაბუმ ამოჰკრა თავი. დევს გული შეუღონდა. კაცს უთხრა, ნუ მომკლავ და ჩემი ჯოგის ნახევარს შენ მოგცემო. კაცი ბაბუს დაეკითხა: ავუშვა თუ არა დევით? – აუშვი და სიკეთესაც დაგაყრის: ჩემს თავს წაგართმევს და შენც მოგკლავსო. მერე მეორე დღეს მჟავე წყალზე წითელი დევი მოვიდა ცხვრისა და თხის ფარებით. ბაბუმ მისი ფარაც დაიმორჩილა, მერე კი პატრონს უშველა. მესამე დღეს თეთრი დევი მოვიდა ცხენის ჯოგით, ბაბუმ მის ჯოგსაც აჯობა და მასაც.

ზღაპარში „ოქროსრქიანი მოზერები“ გაგარეულეებულმა ძროხამ მისცა ბიჭს თავისი ოქროსრქიანი მოზერები, ერთი გუდა და თავისი სამი ბეწვი. ამ მოზერების წართმევა დაუპირა ყმაწვილს მეფემ და დაავალა, მთელი ჩემი მამული ერთ დღეს მოხანი, დათესე და დაფარცხეო. ბიჭი დაღონდა. მოზერებმა მიზეზი ჰკითხეს და მერე ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც საჭირო იყო. მაშინ მეფემ უბრძანა, რაც მარცვალი იყო დათესილი, სულ აკრიფე, თუ არა მოზერები აქ დარჩეს და შენ შინ წადიო. მოზერებმა უთხრეს დაღონებულ ბიჭს, დედაჩვენმა რომ გუდა მოგცა, გახსენ გუდა და აიკრიფებაო. გუდიდან ჰიანჭველები ამოვიდნენ და, მართლაც, აკრიფეს მარცვალი. მეფემ ახლა თავისი სახელმწიფოს თივა-ჩალის შექმა დაავალა ბიჭს ერთ ღამეში.

მოზვრების რჩევით ბიჭმა სამი ბეწვით ძროხა გამოიძახა, იმათი დედა. ის თავისი ნახირით იქ დაიბადა. შექამეს თივა-ჩალა და დედა წავიდა თავისი ნახირით. ხელმწიფემ ახლა დიდი ქვაბით წყალი აადულებინა და ბიჭს შიგ უპირებდა ჩაგდებას. მოზვრებმა უთხრეს დაღონებულ ბიჭს, ერთი ერთ გვერდზე დაგიდგებით, მეორე – მეორეზედა, ჩვენ ვუბერავთ, გავაცივებთ წყალს, შენ შიგ იქნებიო. ბიჭი გადარჩა, ხელმწიფე ჩახტა წყალში და ჩაიხარშა (უმიკაშვილი 1964: 242-244). ეს ბოლო მოტივი ხშირად გვხვდება ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში, ოღონდ მოზვრების ნაცვლად ცხენია ზოგან მოხსენიებული.

ზღაპარში „ერთგული ხარები“ დედა ფურმა მისცა ბიჭს ორი ხარი, ამათ თორმეტი უღელი ხარ-კამეჩის ღონე აქეთო. ეს ორი ხარი კარგად გამოიყენა ბიჭმა, ოჯახი წინ წამოსწია, ყველა მათზე ლაპარაკობდა. ერთმა ქოსამ მოინდომა ამ ხარების ხელში ჩაგდება და ბიჭს დაენიძლავა: თუ მომიგებ, ჩემი მზესავით ლამაზი გოგო შენი იყოს, თუ წააგებ, ხარები მე მომეციო. ბიჭმა ყოჩაღი ხარებით მიწა საღამომდე მოხნა, ცოტაღა დარჩა, როცა ქოსას მიგზავნილმა ბებერმა ასადილა, ღვინით დაათრო და დაეძინა. მზე გადაიწვერა, ხარები დაბლაოდნენ პატრონს, მაგრამ ვერ გამოაღვიძეს. ბოლოს ერთმა ხარმა ხელის ნეკზე უკბინა და გააღვიძა. ხარებმა რქები ამოჰკრეს მზეს და შუა ცამდე გადმოაგდეს. ქოსამ მერე ერთი მთისოდენა საბძელი უჩვენა ბიჭს, თუ შენი ხარები ამ ბზეს სულ გაათავებენ, მოგებული შენ იქნებიო. ხარებმა ბიჭი დაარიგეს, საბძლიდან ბზე როგორ გაენიავებინა. მესამე ნიძლავი იყო ადუღებულ რძეში ბანაობა. ხარებმა დაარიგეს ბიჭი, ჩვენც შენს ახლოს დაგვაბიო. როცა რძე ადუღდა, ხარებმა შეუბერეს ქვაბს და რძე გააგრილეს. ბიჭი გაებანა, ხარებმა კი ცეცხლს ზურგი აქციეს და რძე ისევ ადუღდა, ქოსა ჩავიდა რძეში და გაიფუფქა (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 79-95).

ზოგჯერ ხარები თეთრი, წითელი და შავი ფერის არიან. „ქართულ მითოლოგიურ პოეზიასა და ჯადოსნურ ზღაპარში ძირითადად თეთრი, წითელი და შავი ფერები გვხვდება და მათ მკვეთრად განსაზღვრული ფუნქცია აქვთ» (ჩოლოყაშვილი 2004: 97). ზღაპარში „ქკრივის შვილი» დედამ დაარიგა იადონისა და ბულბულის მოსაყვანად

მიმავალი ბიჭი, ხელმწიფემ – მოურავის ფულით გაყიდოს ოცი თეთრი, ოცი წითელი და ოცი შავი ხარიო. სამ მთას რომ გადაივლი, თეთრი არწივი შეგხვდება, თეთრი ხარები მიეცი და გაგიშვებს. კიდევ სამ მთას იქით წითელ არწივს მიეცი წითელი ხარები და მეცხრე მთის იქით კი შავ არწივს შავი ხარები მიეციო (იყო და... 1977: 564-565). იხ. ასევე ზღაპარი „მონადირის შვილი“ – აქ სამოც-სამოცი ხარია დასახელებული (ხალხური სიტყვიერება 1956: 129-134).

ჯადოსნურ ზღაპრებში ხშირად გვხვდება ხარები საიქიოში. პატრონის ერთგული ხარი საიქიოში მსუქანია, თუმცა არას ჭამს, ხოლო უქნარა ხარი, მიუხედავად ბევრი საჭმლისა, გამხდარია („მზის ასული“, იყო და... 1977: 685-696; „ყმის ცოლი და ბატონი“ – უმიკაშვილი 1964: 115-119 და სხვა).

ზოგჯერ ხარი სიმბოლურად მამაკაცს ნიშნავს. ზღაპარში „ყარაბოლლი და ალექსანდრე“ ყარაბოლლი იკითხა: ხარსა თუ ფურსაო? ქალმა მას უთხრა, ფურისა რა ბრალია, ხარსაო და ყარაბოლლიმ მოღალატე მღვდელი მოკლა (უმიკაშვილი 1964: 213-230). ასე ხდება ზღაპარშიც „ხელმწიფის შვილი და დევთ მეფე“ (იქვე: 244-253).

ზღაპარში „წიქარა და ღვინია“ (ხალხური სიტყვიერება 1956, 299-305) ხარებს კვლავ საკუთარი სახელები ჰქვიათ. ეს ზღაპარი მოგვითხრობს: ერთ კაცს პირველი ცოლისგან დარჩა ერთი ვაჟი და ერთი უღელი ხარი. ვაჟი ათი წლის გახდა. ხარები ღვინია და წიქარა ძლიერ უყვარდა, საბალახოდ დაჰყავდა. ხარებსაც უყვარდათ ბავშვი, სადაც კი დაჟდებოდა, მოვიდოდნენ და ენით ლოკავდნენ, ეალერსებოდნენ. ერთხელ დედინაცვალმა ღვინიას დაკვლა და წიქარას გაყიდვა მოინდომა. ბიჭი ატირდა. მეორე დღეს ბიჭი ხარებს ეთამაშებოდა და კოცნიდა, მერე კი უთხრა მათ დედინაცვლის განზრახვა. ამის გამგონე ხარებმა ღამით ზმორვა და ზმუილი დაიწყეს. ბიჭს წამოჰკრეს რქები და ის მაშინვე წამოდგა. „ღვინია და წიქარა ეტყვიან თავის საყვარელ მწყემსს: აბა, მოემზადე, მივდივართ, ობოლო ძმაო, უნდა დავიკარგნეთ აქედან. იშოვე ერთი ჩირექა ძმარი, ორი სავარცხელი... ნახე ერთი კარგი თოკი, შემაჯექ ზედ და დამეკარ მაგრად, არ გადმოვარდე... სირბილოში“ (იქვე: 300-301). მიდიან ღვინია და წიქარა. ბიჭი ზედა ზის და ეუბნებიან

ხარები: უკან იცქირე, უფრთხილდი, ისინი მოგვეპარებიან და დაგვხოცავენ. დედინაცვალი კარგი ცხენით გამოედევნა, ძმრის გადაღვრაზე ატყდა ქარიშხალი და ნიაღვარი. მერე ხარებმა უთხრეს, ახლა სავარცხელი გადააგდე, ოღონდ ჩვენ არ მოგვახვედროო. ამ სავარცხლების გადაყრის დროს დედინაცვალი უკვე ღორზე ზის, ცხენი დაელაღა. თანაც დედინაცვალი გრძნეული იყო, იცოდა ჭალაში ცხენი ვერ გადავიდოდა. სავარცხლის გადაგდებაზე ატყდა ღიჟნარი, ეკლები. ღორმა და დედინაცვალმა ვერ გააღწიეს, თუმცა ღორი იბრძოდა, ეშვებით კაფავდა.

ერთ მშვენიერ მთაში ხარებმა დააბინავეს ბიჭი, გაუკეთეს ბუდე ორბის ხეზე, დაუტოვეს სალხინო და საჭირო სალამურები. ბიჭს მოშივდა, დაუკრა სალხინო სალამური, მივიდნენ ღვინია და წიქარა, მოაწოვეს ბიჭს რქებიდან რძე და თავის გზაზე წავიდნენ.

ერთმა ბოროტმა ბებერმა ბიჭი ბანგით დაათრო და მეფეს მიჰგვარა, სალამურები კი დაამტვრია. სანამ ბიჭი ხელმწიფესთან იყო, ღვინიას და წიქარას მოუხდათ დევებთან ბრძოლა, დაიხოცნენ აქეთ ხარები, იქით დევები. დაეხვია ყვავ-ყორანი ხარებს. უფალმა კოჭლი მტრედი გამოგზავნა უკვდავების ხელსახოცით, გაცოცხლდნენ ხარები, დაუწყეს ბიჭს ძებნა. ერთი თვის შემდეგ ბიჭმა მეფის ნებართვით სალხინო და საჭირო სალამურები დაუკრა. ღვინიამ და წიქარამ გაიგონეს – „დაიწვიპეს ხარებმა რქები, დაჰკრეს ღმუილი, ეცნენ სასახლეს, რქებზე აგებენ ბატონს და ქალბატონს. ეს ხარები მტვრად აქცევენ მთელ სამეფოს, მოსწყვეტენ მთელ ჯარს: ხარებმა იქამდე იბრძოლეს, სანამ სახელმწიფოს მოსპობდნენ და ჩამოიყვანდნენ თავიანთ დატყვევებულ ძმას. ღვინია და წიქარა დაისვამენ ზურგზე ბიჭს და მიიყვანენ, საცა ძველად ჰქონდათ ბინა“ (იქვე: 305). ახლაც იქ ცხოვრობენ ბედნიერად, ერთმანეთს აღარ შორდებიან. იხ. ასევე «წიქარა» (ხალხური სიბრძნე 1963: 274-279).

ზღაპარში „ღარიბი გლეხის შვილი“ ერთ ღარიბ ოჯახს ჰყავდა ერთი ხარი. «ეს ხარი ისეთი ღონიერი იყო, რომ სხვა ხარებს რომ გუთანში მოუბამდნენ, ვერცერთი მასთან ვერა სძლებდა. სოფელმა ხალხმა რომ გაიგო ამ ხარის ზნე-ჩვეულება, აღარავინ უბამდა ხარს» (ხალხური სიტყვიერება 1952: 247-250).

როგორც ვხედავთ, ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში ორი სახის ხარი გვხვდება: ჩვეულებრივი ხარი და ჯადოსნური ხარი. ჯადოსნური ხარი გამორჩეულია, იგი არის ზღაპრის გმირის ქომაგი, ერთგული, დამრიგებელი და გამომკვებავი და გასაჭირიდან მხსნელი. ასევე, იგი არის ღვთაებრივი ცოდნით დაჯილდოებული, გულთმისანი და ასწავლის ზღაპრის გმირს ჯადოსნური ნივთების გამოყენებას. ხარს რიგ შემთხვევაში საკუთარი სახელი ჰქვია, რიგ შემთხვევაში კი უსახელოა, იგი ხშირად ადამიანით მეთყველია.

„ხარი... უხსოვარი დროიდან მიწათმოქმედი ხალხის წარმოდგენებსა, მითოლოგიასა და რელიგიაში ერთ-ერთი მთავარი ზოომორფული სახეა. ამის მკაფიო დადასტურებაა ქართულ ფოლკლორში, ორნამენტიკასა თუ ადათ-წესებში შემორჩენილი წინარე ქრისტიანული ტრადიციები, სადაც ხარი ხან მთვარის, ხან კი მზის საკულტო რიტუალთან დაკავშირებული ცხოველია... იხ. აიეტის „ცეცხლისმფრქვეველი ხარები», ხარ-ადამიანი მინოტავრი, ზევსი – თეთრი ხარი და სხვა“ (აბზიანიძე.. 2012: 151-152).

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში გვხვდება ასევე ძროხა, ისიც ორგვარი მნიშვნელობით – ჩვეულებრივი ძროხა და ჯადოსნური ძროხა. ჩვეულებრივი ძროხა გვხვდება ზღაპრებში „სამი და“ (ხალხური სიბრძნე 1964: 11-15). „გველი და გლეხი“ (იქვე: 36-37), „მენახირე“ (ხალხური სიტყვიერება 1952: 135-138), „ბედის მწერლები“ (იქვე: 231-232), „ზღაპარი ცხრა ყაჩაღისა“ (იქვე: 299-310), „ბროწეულის ზღაპარი“ (ხალხური სიბრძნე 1963: 400-406) და სხვა.

ჯადოსნური ძროხა ყველაზე ხშირად გერდედინაცვლის ციკლის ზღაპრებში გვხვდება. „კონკიამი“ მოთხრობილია: ერთი ძროხა ჰყავდათ გარდაცვლილი დედის დანატოვარი. ამ ძროხამ ერთხელ ენა ამოიდგა და კონკიას უთხრა: ერთ რქაში ერბო მიდგას, მეორეში – თაფლი, რომელიც გინდოდეს, ის მიირთვიო. კონკიამ მიირთვა და კიდევ უფრო დამშვენდა. „ძროხა გულთმისანი იყო, მივიდა კონკიასთან და უთხრა: „მე რომ დამკლავენ, შენ ჩემს ხორცს პირი არ დააკარო, მოაგროვე ჩემი ძვლები, ბოსელში ორმო ამოთხარე და შიგ ჩაყარე. როცა გაგიჭირდეს, მოდი და ასე ჩამომძახე: ამოდი, ჩემო რაშო და ჩემი სადედოფლო

ტანსაცმელი ამომიტანეო“ (აქ ყურადღებას იქცევს ბოსელი, რომელიც საკრალური ადგილია, ისევე, როგორც წისქვილი). მართლაც ორმოდან მშვენივრად შეკაზმული რაში ამოვიდა, უნაგირზე ოქროს ტანსაცმელი ჰქონდა დაკრული. რაშის უკან ჩაბრუნებისას კი კონკია ამბობს: «რაშო, ჩაბრძანდი და სადედოფლო ტანსაცმელიც ჩაიტანეო“ (იყო... 1977: 510-518).

ზღაპარში „დედინაცვალი და გერი“ გოგოს მომკვდავმა დედამ ერთი ფინია და ერთი ძროხა დაუტოვა, თან ანდერძად დაუბარა: ვინიცობაა, შვილო, მამაშენმა მეორე ცოლი შეირთოს და ძროხა დაკლას, შენ ამ ძროხის ხორცი არ ჭამო, ძვლებს კი თავი მოუყარე და ორმოში ჩაყარეო. ასევე დაარიგა დედაბერმა გოგო, ბაგის ქვეშ ორმო გათხარე და ძროხის ძვლები შიგ ჩაყარეო. როგორც ვხედავთ, ძროხა აქ ტოტემია, ქომაგი ცხოველი და გერის მფარველი (ხალხური სიბრძნე 1964: 109-114). ასეა ეს ზღაპარშიც „გერისა და დედინაცვლისა“: ერთი ფური ჰყავდათ, ქალი მწყემსავდა. ფურმა უთხრა ქალს – ერთ ყურში ერბო მაქვს და ერთ ყურში თაფლი, ჭამეო. ასევე, ფურმა უთხრა გერს: ჩემ დაკვლას აპირებენ, შენ ჩემი ხორცი არა ჭამო, ძვლები მოაგროვე, ჩემ ტყავში შეახვიე და ორმოში დაფალიო; გაჭირვება რომ დაგიდგეს, ამოთხარე და ნახეო. ქალმა ფურის ძვლები ამოთხარა და ნახა, რომ ერთი მშვენიერი რაში აბია შეკაზმული და ერთი ხელიც სახელმწიფო ტანისამოსია თვალ-მარგალიტით შეჭედილი. შეჰდა რაშზე და წავიდა დღეობაში სალოცავათა (უმიკიშვილი 1964: 109-114).

ჩვეულებრივი ცხოველი არ უნდა იყოს ძროხა ზღაპარშიც „გერი და დედინაცვალი“, რადგან კაცმა ამ ძროხის ძეხნაში თვალეზდათხრილი პატარძალი იპოვა (იქვე: 106-108).

ზოგ ზღაპარში ძროხა პატრონისგან გარბის და ტყეში დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს, თუმცა პატრონის შვილის დამხმარე და ერთგულია, თან – გულთმისანი. „ოქროსრქიანი მაზვრები“ მოგვითხრობს: ერთ კაცს და მის ცოლს ჰყავდათ ერთი ძროხა. იმ კაცის ცოლი როცა დაორსულდა, ამ ძროხამ გაიგო, რომ ამ კაცს ეყოლებოდა ვაჟი, ძროხამ აიქცია თავი, წავიდა გზასა, მივიდა ერთს ტყეში, გაიჩინა ბინა და გააშენა ნახირი. კაცს ეყოლა ვაჟი, სწრაფად გაიზარდა და მოინდომა ფურის მოყვანა. დედამ

უთხრა, მოგვლავს ის ფურიო და დაარიგა: «როცა მიხოდ, ტყეზე შაჯექ და დაუმახე: შიფში, შიფში ჭურებაო, მე შენი პატრონი ვარო“ (უმეკაშვილი 1964: 242). ბიჭი ასეც მოიქცა, „წავიდა ძროხა, წამოჰყვა მისი ნახირი. ამ ნახირში ორი ოქროსრქიანი მაზვერი იყო. ძროხამ შესძახა: საით ჩემი პატრონი ხარო? ყმაწვილმა მიუგო: ჩემი დედა როცა ორსული ყოფილა ჩემზედაო, შენ გამოქცეულხარო. ძროხამ უთხრა: ჩამოდიო, მომკლავო, უპასუხა ყმაწვილმა. შახფიცა ძროხამა: არაო. მაშინ ჩამოხტა ყმაწვილი, ძროხამ დაუკლა ხზო, აჭამა და გამოისტუმრა. ის ოქროსრქიანი მაზვერები მისცა და ერთი გულადი, სამი ბეწვი გამოიძრო და ისიც მისცა“ (იქვე: 243). გასაჭირის დროს სწორედ ამ სამი ბეწვით იძახებს ძროხას ბიჭი. მეფემ ბიჭს დაავალა თავისი სახელმწიფოს თივა-ჩალა ერთ ღამეში შააჭამიე მაზვერებს, თუ ვერა, მათ წაგართმევო. მაზვერებმა უთხრეს ბიჭს, ჩვენმა დედამ რომ სამი ბეწვი მოგცა, გაუშვი სამივეო. ყმაწვილმა გაუშო სამივე. იმ წამსვე იმათი დედა თავისი ნახირით იქ დაიბადა, შეჭამეს თივა-ჩალა და დედა წავიდა თავისი ნახირით.

იგივე მოტივები გვხვდება ზღაპარში „ერთგული ხარები“ (ქართული ხალხური ზღაპრები 1959: 79-85). ერთ საწყალ გლეხს „ცოლიც დაორსულდა და ძროხაც დაუმაკდა. გავიდა ცხრა თვე. დედაკაცმა მოილოგინა და ბიჭი ეყოლა. ძროხა კი, რაკი კაცმა იმ ხანებში ყურადღება ვეღარ მიაქცია, გაწყრა და გაიპარა. გავიდა ერთ მინდორზე. მონახა ჩალიანი ადგილი და იქ მოიგო ხზო. მეორე წელიწადს მეორე მოიგო. გავიდა დრო. ეს ხზორები დაიზარდნენ და იმათაც მოიგეს. ასე რომ, თხუთმეტი წლის შემდეგ ოცდაათი სული გახდა“ (იქვე: 79). თხუთმეტი წლის შემდეგ ბიჭმა გაიგო ძროხების ამბავი და წავიდა მათ სანახავად. ძროხებმა თვალი რომ მოჰკრეს მომავალ კაცს, აიბზიკეს კუდები და ბლავილით გამოექანენ. ყველაზე წინ დედა ფური მობოდა. ის მიუახლოვდა თუ არა ბიჭს, გაჰკრა გვერდი, წააქცია და ზედ გადააბოტა, სხვა ძროხებს ურქენდა და თან ეუბნებოდა: „ჩემო შვილებო და შვილიშვილებო, არაფერი დაუშავოთ, ეს ბიჭი ჩვენი პატრონია“ (იქვე: 81). დედა ფურმა მისცა ბიჭს ორი ხარი, ამათ თორმეტი უღელი ხარ-კამეჩის ღონე აქვსო.

ზოგჯერ ძროხა მეტამორფოზასაც გადის. ზღაპარში „ოსტატი და შეგირდი“ ჯადოქარ ვახრავას შეგირდი იქცა

მეწველ ძროხად. ჯერზე სამ ვედროს მოვიწველი. გამიყვანე ბაზარში და გამყიდე. ხუთას თუმან ნაკლებ ნუ მიმცემ. თოკი არ გამაყოლო, თორემ დამახრჩობენო, – უთხრა მამას. ძროხა ვახრაკამ იყიდა დიდი ვაჭრობის შემდეგ. მამას ბევრმა ფულმა დაავიწყა თოკის შეხსნა. «ვახრაკამ მიიყვანა ეს ძროხა საჯინიბოში, შეუკრა მაგრათ კისერი, მკერდი, რომ არ აშვებულიყო... დილაზე დაგაჭრი ადრიანად თავსო, დაემუქრა. შუალამისას დიდი ხანი ეწვალეობოდა ბიჭი და როგორც იყო, გაძვრა თოკიდან, იქცა ისევ ბიჭად და მივიდა შინ» (ხალხური სიტყვიერება 1956: 161-164).

ჩვეულებრივი არ უნდა იყოს ძროხები ზღაპრებში „მენახირე“ და „ანანა“, რადგან პირველ ზღაპარში ხელმწიფის ქალი თვითონ წველის თავის ორ ძროხას, მენახირე მას ამ დროს დაინახავს და მის ცოლობას ინატრებს (ხალხური სიბრძნე 1963: 297-299). ასევე „ანანაში“ ანანას წაბაბვით ხელმწიფის შვილის ცოლმა ფურები დაიბარა, რადგან ირმები არ ჰყავდა, მოწველა, ჩაასხა რძე ქვაბში, აადულა, ჩავიდა შიგ საბანაოდ ანანას წაბაბვით და ჩაიხარშა (იქვე: 435-436). აქ ძროხა მისტერიის მონაწილე უნდა იყოს.

„უძველეს კულტურათა ერთი ნაწილისთვის... ძროხა საკრალური ცხოველია (ისევე, როგორც მისი რძე) და სამყაროს შემქმნელ კოსმიურ ძალათა უძველესი სიმბოლოა... უძველეს ინდურ რელიგიურ ტექსტებში („ვედეებში“) ძროხა გახლდათ არა მხოლოდ ზეცის, არამედ მიწის პერსონიფიკირებაც: ეს მისი რძე იღვრებოდა მაცოცხლებელ წვიმად... ძროხისგან დამოუკიდებელი სიმბოლიზმი რძემაც შეიძინა და სიცოცხლის, უკვდავებისა და აღორძინების ელექსირი განასახიერა“ (აბზიანიძე... 2012: 140-141).

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში არაერთი ცხოველის სახე გვხვდება, რომელიც რიგ შემთხვევაში გაერთიანებულია ტერმინის ქვეშ „ნადირი«, რიგ შემთხვევაში კი – ტერმინის ქვეშ „საქონელი«. ჩვენ განვიხილეთ მგლის, „ნადირის« სახე ჯადოსნურ ზღაპრებში და ასევე „საქონელი“ – ხარი და ძროხა. ზემოხსენებული ცხოველები ორი სახის არიან: ჩვეულებრივი ცხოველები და ჯადოსნური ცხოველები. ჯადოსნური ცხოველები მუდამ ქომაგი არსებები არიან და ეხმარებიან ზღაპრის გმირს გამარჯვებაში. ისინი ტოტემის თვისებებსაც ამჟღავნებენ და ღვთაებისაც.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აბზიანიძე... 2011-2012 – აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ., სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. თბილისი, ტ. I – 2011, ტ. II – 2012.

იყო და... 1977– იყო და არა იყო რა. თბილისი, 1977.

მეგრული ზღაპრები... 1994 – მეგრული ზღაპრები და მითები. თბილისი, 1994.

უმიკაშვილი 1964 – უმიკაშვილი პ., ხალხური სიტყვიერება, III. თბილისი, 1964.

ქართული ხალხური ზღაპრები 1959 – ქართული ხალხური ზღაპრები. შ. ძიძიგურის რედაქციით. თბილისი, 1959.

ჩოლოყაშვილი 2004 – ჩოლოყაშვილი რ., უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპ-რულ ეპოსში. თბილისი, 2004.

ჩოლოყაშვილი 2005 – ჩოლოყაშვილი რ., ცხოველთა ეპოსი. თბილისი, 2005.

ხალხური სიბრძნე 1963 – ხალხური სიბრძნე, I. თბილისი, 1963.

ხალხური სიბრძნე 1964 – ხალხური სიბრძნე, II. თბილისი, 1964.

ხალხური სიტყვიერება 1952 – ხალხური სიტყვიერება, II. თბილისი, 1952.

ხალხური სიტყვიერება 1956 – ხალხური სიტყვიერება, V. თბილისი, 1956.

Dalila Bedianidze**ANIMALS IN GEORGIAN MAGICAL TALES
(WOLF, BULL, COW)**

Summary

The paper analyses the purpose and peculiarities of the manifestation of the images of animals (wolf, bull, cow) in Georgian magical tales. It is noted that both domestic and wild animals: wolf, bull, and cow can often be found in Georgian magical tales. They are referred to in two senses: as ordinary animals and as magical animals. Magical animals are helpers, companion animals of the heroes of the fairy tales and grantors. They gift magical items to the heroes of the fairy tales and give useful advice, helping them to win over the enemy. They reveal the qualities of a totem as well as a deity.

ომარ გვეტაძე

**დავით აღმაშენებლის
„გალობანი სინანულისანი“
(ზოგიერთი ასპექტი)**

დავით აღმაშენებელი საქართველოს ისტორიაში დიდი სახელმწიფო მოღვაწეა. მისი სასულიერო ლირიკა მძაფრი განცდებისა და საკუთარი ცოდვების აღიარების ამსახველი თვითგამოხატვის ნიმუშია. „გალობანი სინანულისანი“ სხვადასხვა დროს იკვლევდნენ ი. ჯავახიშვილი (1983), კ. კეკელიძე (1980), ლ. გრიგოლაშვილი (1971, 1975, 1986ა, 1986ბ), ზ. ჭავჭავაძე (1993), ნ. სულავა (2003) და სხვები. აღსანიშნავია, რომ 1996 წელს ნოდარ ლადარიამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „დავით აღმაშენებლის გალობანი სინანულისანი, ისტორიულ-ლიტურგიული ანალიზი“ (კაკაბაძე 1962).

პირველად ეს ძეგლი გამოსცა გ. ხელიძემ 1865 წელს. შორს წაგვიყვანს საგალობლის ირგვლივ არსებული მრავალი სამეცნიერო ნაშრომის მიმოხილვა და შეფასება, მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე გავამახვილებთ ამჯერად ყურადღებას.

„გალობანი სინანულისანი“ ეძღვნება სასულიერო ლირიკის თემატიკისათვის ნიშნდობლივ – სინანულის მოტივს. მასში გადმოცემულია ზოგადსაკაცობრიო სევდა. დავით მეოთხე თავს ადარებს უმძიმეს ცოდვის ჩამდენთ და გამოთქვამს აზრს, რომ არ არსებობს დანაშაული, რომელიც მის სულს არ ამძიმებდეს. კარგადა შესწავლილი ანდრია

კრიტიკელისა და დავით აღმაშენებლის საგალობელთა თემატური ურთიერთმიმართება. დავითი ღვთისგან მეფობის პატივით აღზევებულად თვლის თავს და, დიდებაში მყოფი, მიიჩნევს, რომ ცოდვის მონად ქცეულა:

„პორფირის მფლობელობასთან ერთად მეფობის შარავანდედი მარწმუნე, მე კი ბილწ ვნებებს მონად მივეცი თავი, რადგანაც, რომლისგანაც დაძლეული ვართ, მას დავემონებით“ (გრიგოლაშვილი 1975. განმლიერდითსა, გალობა მე-3, 1).

ანდრია კრიტელის თანახმად, „მეფობისა პატივითა და გვირგვინითა და პორფირითა შემკული პოვნირი და მართალი კაცი, სამწყსო მრავალი და განმდიდრებული სიმდიდრისა და დიდებისა და მეფობისაგან, გლახაკ და უღონო იქმნა (კრიტელი 2005. გალობა დ).

ფიქრობენ, რომ „გალობანში“ შეიძლება ამოცნობილ იქნეს დავით მეფის კონკრეტული ცოდვანი და შეიძლება ეს იყოს ისეთი ისტორიული ფაქტები, რომლებმაც ჩვენამდე არ მოაღწია. მაგალითად, არის ასეთი ვერსიები – მისი მკაცრი დამოკიდებულება მოღალატეთა მიმართ; ძალაუფლების მოპოვებისათვის გამოყენებული ძალა-დობა. ერთი ვერსიით, ცოდვად ქორწინებაში ჩადენილი რაღაც შეცოდებანი უნდა მივიჩნიოთ – ცოლთან გაყრა და მეორედ ქორწინება.

პროფ. ლ. გრიგოლაშვილს მართებული დასკვნით, დავით მეფის სინანულის დასაბამი უნდა განისაზღვროს არა ავტორის ბიოგრაფიული დეტალებით, არამედ უმთავრესი ქრისტიანული დოგმატით, რომლის თანახმადაც ყოველი ადამიანი ცოდვილია, უცოდველი არის მხოლოდ ღმერთი... „გალობანის“ ავტორი თავის ცოდვათა დასაბამს კოსმიურ ფაქტში ხედავს და, როგორც კაცთა მოდგმის ერთი წარმომადგენელი, იზიარებს იმ ცოდვას, რომელიც საზოგადოდ ადამიანის ხვედრია (გრიგოლაშვილი 1971: 73).

სასულიერო ლირიკის მხატვრულ-ესთეტიკური განფენილობა განსხვავებულია თანამედროვე თვალ-საზრისით შუასაუკუნეებში არსებული მსგავსი ალქმისაგან. სასულიერო ლირიკის ემოციურ მიზანდასახულობას განსაზღვრავს ბიბლიურ სახეთა და სიმბოლოთა ახლებური გააზრება, მათი მოხმობა საკუთარი სულიერი განწყობის

ძლიერი ემოციური ფონის შესაქმნელად. როდესაც დავით მეფე წერს, რომ „მე ვარ, ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ღუართაი“. ამგვარი აღსარება ღრმა სულიერი განცდის, ამაღლებული ზნეობის, იშვიათი გულწრფელობისა და საოცარი სასოების გამომხატველია.

რა გადაძახილი შეიძლება აღინიშნოს ამ დიდებული ლირიკული შედევრისა თანამედროვეობასთან. რო-გორც ეს შენიშნული და აღიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, „საგალობელი“ არის ნიმუში, თუ როგორი რთული და ტკივილიანი გზა შეიძლება გაიაროს ყოველმა ადამიანმა დაბადებიდან, ცოდვილი სულის განწმენდის გზაზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ჭებაიმას, ვინ როგორ განიცდის თავის ცოდვას, ვინ როგორ აფასებს კრიტიკულად უფალთან მიმართებით თავის პიროვნულ არასრულყოფილებას, ვინ რა მაღალზნეობრივ მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს, რაც მის მორალურ სახეს განსაზღვრავს კიდევ. „დიდი კანონისა“ და „გალობანის“ თანხვედრი მიზანიც ესაა, რომ თითოეული ადამიანი თავის ცოდვებზე დააფიქროს და სინანულამდე მიიყვანოს. უნდა ითქვას, რომ ასეთი დამოკიდებულება პიროვნებისა საკუთარ თავთან დავით აღმაშენებელმა თავის „საგალობელში“ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

ახლა ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება. როგორც ცნობილია, დავით გურამიშვილის „დავითიანი“ გააზრებულია, როგორც დავით მეფესალმუნეს „მეორე მე“ (სირაძე 1991: 77). ამ ვითარებაზე არაერთხელ მიუთითებს თავად პოეტი. „გალობანისადმი“ მიძღვნილ გამოკვლევებში ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ მიმართულებით კვლევას, კერძოდ, თუ როგორი ალუზიური ურთიერთმიმართებაა „ფსალმუნთან“. დავით მეფე ღრმად განსწავლული თეოლოგი გახლდათ. ანდრია კრიტელის კანონსაც ხომ ფსალმუნი უდევს საფუძვლად. დავითმა შესანიშნავად იცოდა ბიბლია და ფსალმუნთა საგალობლები. შეიძლება აქ მოვიტანოთ რამდენიმე პარალელი. ფსალმუნი: „რად მე იქადინ უკეთურებათა ძლიერი უმჯულოებისა მარადდღე? სუცრუვესა ზრახავს ენაი შენი... შევიყუარე სიბოროტე, უფროის სახიერებისა და სიცრუვე უფროის სიმართლისა სიტყვისა“...

„მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე მე, რამეთუ შენ გესავს სული ჩემი... (ბიბლია 2020: 393).

დავითი წერს, რომ მან ყოველგვარი ცოდვა ამრავლა – „ვითარცა რაით აღმართმსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“.

დავით მეფის „გალობანი“ იწყება ასე: „რომლისაცა წინაშე ქედდადრკილ არს ყოველი მუხლი, ყოველი მოდრკების და ენაი ყოველი ხმოზს აღსარებასა“.

რუსთაველი თავის უკვდავ პოემას ხომ ასე იწყებს: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

დავით მეფის ეს სულიერი ღაღადისი უფლისადმი საკუთარ ცოდვათა აღიარება გახლდათ მისი შინაგანი დიდბუნებოვნების გამოხატულება, მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა და, ასეც ვთქვათ, ყოველდღიური ყოფის არსი და კრედო. როდესაც მიუთითებენ „დიდ კანონსა“ და „გალობანს“ შორის პარალელებზე, ასე შეიძლება მრავალ სხვადასხვა ჰიმნოგრაფიული პოეზიის ნიმუშთან მოვძებნოთ საერთო, მაგრამ დავითის საგალობელი ეს არის ორიგინალური თხზულება, რომელიც ითვალისწინებს ჰიმნოგრაფიული კანონის ტრადიციებს. ეს რომ ასეა, დავიმოწმოთ დავით მეფის „ანდერძი“: „უკვდავი და დიდებისა მოყვარე და მეფობისა ტრფიალი მედვა ბუნებაი. და არა მიოდეს მოვიხსენებდი დღესა ამას სამარადისოდ საფლავად მისვლისა ჩემისასა, და ვერ უძლე დატევებად საწუთროისა, ვიდრე არა დამიტევა მე საწუთრომან და დამძიმებული ცოდვათა სიმრავლითა მწუხარედ განმიყვანა წინაშე მსაჯულისა“ (გრიგოლაშვილი 1971: 55).

დავით მეფე თავის მრავალ ცოდვათაგან ასახელებს ერთ-ერთს – „კაენის მკვლელეებრივი ცნობაი“–ს.

გაგახსენებთ, რომ კაენი არის ადამისა და ევას უფროსი ვაჟი, აბელის ძმა. აი, როგორ დაწყევლა უფალმა ძმის მკვლელი: „ამიერიდან დაწყევლილ ხარ მიწისაგან, დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე.“ კაენმა უფალს სთხოვა, რომ ჩადენილი ცოდვის გამო ყველა შემხვედრს ვერ მოეკლა იგი. უფალმა მას დაადო ნიშანი; როგორც ჩანს, ეს იყო საშინელი ნიშანი, რაც ძმის მკვლელთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდა არავის (ბიბლიის ენციკლოპედია 2021: 210).

„გალობანში“ ნახსენებია, რომ ავტორი ნანობს, რომ დაუწყია „სილოდით მავალობაი“. ბიბლიის მიხედვით, ეს არის ძალოვანთა გარყვნილება, უშვერად მოქცევა. ამას უკავშირდება „სეთის ძეთა ბილწება“ – სეთი მიეცათ ადამს და ევას – აბელისა და კენის შემდეგ. მისმა ძეებმა ისწავლეს სიმღერა, გამოაჩინეს ქნარი, ებანი, ბობლანი და სტვირი...

გავიხსენოთ „ნინოს ცხოვრებაში“ (უძველესი პლასტები მე-4 საუკუნისა) არმაზის კერპისაკენ მიმავალი მოზეიმე ხალხი – ბობლანებით და სტვირების თანხლებით მიმავალნი...

ნიშანდობლივია, რომ „ქართლის ცხოვრებიდან“ ვიცით – დავით მეფეს ჯარში აკრძალული ჰქონდა საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი, განცხრობანი. დავითის ისტორიკოსისათვის სიმღერა-სახიობა მაცდურისაა, სატანისაა, საეშმაკოა. იგი უტოლდებოდა განცხრომასა და „უწესობას“. ამავე დროს არის მიზეზი „ყოველი უწესოებისა“ და ამიტომ სამეფო კარი ებრძვის სიმღერა-სახიობას (სირაძე 1991: 301).

როგორც აღნიშნულია, დავით აღმაშენებელს „გალობანი სინანულისანი“ არის წრფელი აღსარება, რომელიც ღრმა სულიერი განცდის, ამაღლებული ზნეობისა და საოცარი სასოების გამომხატველია. მასში არის ნათელი სხივი. სულიერად დაცემული ადამიანი თუ მოინანიებს ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს, დაადგება ხსნის გზას, რომელიც უფლის წინაშე ვედრებითა და თხოვნითა მოიპოვება.

„ჟამი რაი წუხილთა და ავთა აღმოფშვინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნენ, ყვავილოვნებაი დაჰნეს, სხუამან მიიღო სკიპტრაი, სხვასა შეუდგნენ სპანი – მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო...!“ (გრიგოლაშვილი 1971: 184).

ეს პერიფრაზი „გალობანისა“ – „მაშინ შემიწყალე, უფალო ჩემო“ – ალუზიურად გახდა ახალი, თანამედროვე პოეზიის რამდენიმე ნიმუშის შექმნის ბიძგის მიმცემი.

გამოყენებული ლიტერატურა

კრიტიკელი 2005 – ანდრია კრიტიკელი, დიდი კანონი, თბილისი, 2005.

ბიბლიის ენციკლოპედია 2021 – ბიბლიის ენციკლოპედია, თბილისი, 2021.

ბიბლია 2020 – ბიბლია განმარტებებით, ტ. VII, თბილისი, 2020.

გრიგოლაშვილი 1986ა – გრიგოლაშვილი ლ., „გალობანი სინანულისანი“, კომენტარები. ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, №6, 1986.

გრიგოლაშვილი 1986ბ – გრიგოლაშვილი ლ., „გალობანი სინანულისანი“, კომენტარები. ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, №10, 1986.

გრიგოლაშვილი 1971: გრიგოლაშვილი ლ., დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ კონცეფციისათვის. ქართული ლიტერატურის საკითხები, II. თბილისი, 1971.

გრიგოლაშვილი 1975 – დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ლაურა გრიგოლაშვილმა). თსუ შრომები, ლიტმცოდნეობა, 163, 1975.

ანდერძი 1989 – დავით აღმაშენებლის ანდერძი, დავით აღმაშენებელი 900. ჟურნალი „ცისკარი“, №1-2, 1989.

კაკაბაძე 1962 – კაკაბაძე მ., დავით აღმაშენებლის და დემეტრე მეფის ლირიკა. ჟურნალი „მნათობი“, №4, 1962.

ლადარია 1996 – ლადარია ნ., დავით აღმაშენებლის გალობანი სინანულისანი, ისტორიულ–ლიტურგიული ანალიზი, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1996.

კეკელიძე 1980 – კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980.

კაკაბაძე 2003 – კაკაბაძე მ., დავით აღმაშენებლის და დემეტრე მეფის ლირიკა, ჟურნალი „მნათობი“, №4, 1962.

სულავა 2003 – სულავა ნ., დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, XII-XIII სს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003.

სულაბერიძე 1991 – სულაბერიძე გ., „საეშმაკონი სიმღერანი“ დავითის ისტორიკოსის მიხედვით. ჟურნალი ცისკარი, № 11-12, 1991.

სირაძე 1991 – სირაძე რ., „დავითიანი“ და ბიბლია. კრიტიკა, №1, 1991.

ჭავჭავაძე 1993 – ჭავჭავაძე ზ., დავით აღმაშენებლის აღსარების კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, ლიტერატურათმცოდნეობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, თარგმანი, თბილისი, 1993.

ჯავახიშვილი 1983 – ჯავახიშვილი ი., დავით აღმაშენებლის პიროვნება, შინაური პოლიტიკა და საკულტო მოღვაწეობა. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მე-2. თბზ. 12 ტომად. თბილისი, 1983.

Omar Gvetadze

**DAVIT AGMASHENEBELI'S
«HYMN OF REPENTANCE»
(SOME ASPECTS)**

Summary

Davit Agmashenebeli's highly lyrical, a sample of sacred lyrics depicting intense feelings and confession of one's own sins «Chant of Repentance».

«Galobani Sinanulisani» is dedicated to the main theme of sacred lyrics - the motif of regret. It conveys the sadness of the general humanity. David IV compares himself to the perpetrator of the worst sin and expresses the opinion that there is no crime that does not weigh on his soul. The thematic relationship of Andria Kritel and Davit Agmashenebeli's hymns is well studied. They think that the specific sin of King David can be identified in «Galoban» and these may be such historical facts that have not reached us. For example, there are such versions - his strict attitude towards traitors; Violence used to gain power...

According to one version, some sins committed in marriage should be considered a sin - divorcing one's wife and remarrying. The artistic-aesthetic distribution of the sacred lyrics is different from the existing similar content from the modern point of view. Its emotional purposefulness is determined by a new understanding of biblical faces and symbols, their use to create a strong emotional background of one's own spiritual mood. When David the king writes that «I am, like an abyss, a cesspool of gathering filth» - this kind of confession is an expression of deep spiritual feeling, elevated morality, rare sincerity, amazing wisdom.

This spiritual cry of King David to the Lord, the confession of his own sins, was an expression of his inner magnanimity, the essence and credo of his statesmanship and, so to speak, daily life. When the parallels between the «Great Canon» and the «Chanting» are pointed out, many different examples of hymnographic poetry can be found in common, but the Song of David is an original composition that takes into account the traditions of the hymnographic canon.


სებასტიან (საბა) გილენი

**საქართველოდან ესპანეთში
მოსახლეობის მიგრაციის ზრდის
განმავლობელი უმთავრესი ფაქტორები
(2000-2010 წლები)**

წინამდებარე ნარკვევში შევეცდები გავანალიზო ის ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები, რამაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში გამოიწვია ქართველების მიგრაციის მნიშვნელოვანი ზრდა ესპანეთში. კვლევის განვითარების პროცესში გამოყენებულ იქნა ორი ძირითადი წყარო: პირველი, ესპანეთის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის მიერ შედგენილი გრაფიკული სქემა, რომელიც გვიჩვენებს ესპანეთში მყოფ ქართველ ემიგრანტთა რაოდენობის დინამიკას 2000 წლიდან 2010 წლამდე. მეორე – რუბენ მენდოზას სტატია ესპანეთსა და საქართველოს შორის არსებულ ისტორიულ ურთიერთობებსა და კულტურულ მსგავსებაზე. ასევე, დავამუშავეთ ესპანეთში გამოქვეყნებული სტატიები ეკონომიკის, ისტორიის, დემოგრაფიისა და ჯანმრთელობის საკითხებზე.

წყარო პირველი: სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის გრაფიკულ სქემაში დაფიქსირებული მონაცემები 2000 წლიდან 2010 წლამდე ესპანეთში ქართველ ემიგრანტთა რაოდენობასთან დაკავშირებით (INE 2021):

უწყვეტი რეესტრის სტატისტიკა.
საქართველო, ეროვნული, სულ, ორივე სქესი



ესპანეთში ქართველ მიგრანტთა რაოდენობასთან დაკავშირებით დაფიქსირებული ეს მონაცემები ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევით განსაზღვრული მიზნის გასაძლიერებლად. ეს არის ინფორმაციის ოფიციალური და პირველადი წყარო, რომელიც ზრდის მის ავთენტურობასა და სანდოობას. ის არ განახლებავს მამაკაცებსა და ქალებს, მათ ასაკს, პროფესიასა და ოჯახურ მდგომარეობას და არ მოიცავს არალეგალურ ემიგრანტებს, რომელთა იდენტიფიცირებაც ვერ მოხერხდა. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ მონაცემთა ეს გრაფიკი ნაკლებად შეიძლება მივიჩნიოთ ბოლომდე დაზუსტებულ ინფორმაციად.

წყარო მეორე: რუბენ მენდოზას სტატია (Mendoza 2019). რუბენ მენდოზა არის მადრიდის რეი ზუან კარლოსის უნივერსიტეტის პროფესორი. მანამდე ის მუშაობდა ცნობილ მედია- და პროდიუსერულ კომპანიებში. რ. მენდოზას მიერ მოწოდებული მონაცემები წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან მასალას ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესასწავლად. მისი აზრით, ესპანეთით ქართველ ემიგრანტთა დაინტერესების განმაპირობებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ქართველებსა და ესპანელებს

შორის ისტორიულად არსებული ის სიახლოვეც შეიძლება მივიჩნიოთ, რომლის შესახებაც ხშირად საუბრობენ ისტორიკოსები და გეოგრაფები (მაგალითად, სტრაბონი და სხვები).

რუმენ მენდოზას დაკვირვებით, შესაძლოა ესპანელებსა და ქართველებს შორის ისტორიულად არსებული ეთნიკური და კულტურული სიახლოვე მართალიც იყოს, მაგრამ ეს მოსაზრება მყარად არგუმენტირებული ჯერ კიდევ არ არის. ჩვენი კვლევის მიზანია, გავაანალიზოთ ესპანეთში 2000 წლიდან 2010 წლამდე ქართველთა მიგრაციის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა და გავარკვიოთ როგორც ამ მოვლენის განმაპირობებელი მიზეზები, ისე ქართველ მიგრანტთა რაოდენობრივი მონაცემები.

დემოგრაფია: გაეროს მონაცემებით, ესპანეთში ემიგრირებულ ქართველთა რაოდენობამ 2019 წელს 9076 შეადგინა. ამ რაოდენობის მიხედვით, ესპანეთი მსოფლიოში იმხანად მეთერთმეტე ქვეყანას წარმოადგენდა. ეს მონაცემები მხოლოდ იმ ადამიანებს მოიცავდა, რომლებიც იდენტიფიცირებული იყვნენ ესპანეთის მთავრობის მიერ და მათში არ შედიოდნენ ამ ქვეყანაში არალეგალურად ჩასული ქართველი მიგრანტები. ესპანეთის ნაციონალური სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, ამ ქვეყანაში ქართველი ემიგრანტების რაოდენობა ყოველწლიურად რომ იზრდება, ეს ზემოთ დამოწმებული პირველი წყაროს გრაფიკიდანაც ნათლად ჩანს (INE 2021).

კულტურული მიზეზები: ესპანეთში ქართველების მიგრაციის განმაპირობებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ქართველებსა და ესპანელებს შორის არსებული კულტურული სიახლოვეც უნდა მივიჩნიოთ. კერძოდ, ესპანელები და ქართველები პირობითად შეიძლება „კულტურულ ბიძაშვილებად“ ჩაითვალოს იმის გამო, რომ მათი ქვეყნების ისტორიაში აშკარად შეინიშნება რამდენიმე მსგავსება. კერძოდ, ესპანელებისა და ქართველების სამკვიდრებელ ქვეყნებს გეოგრაფიულად ერთი და იგივე სახელი აქვთ – იბერია, რის გამოც არსებობს ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ შორეულ წარსულში მათ ერთი საერთო წინაპარი ჰყავდათ.

ესპანელთა და ქართველთა ნათესაობასთან დაკავშირებულ მოსაზრებას განსაკუთრებით განამტკიცებს ის მსგავსება, რომელიც ბასკურ და ქართულ ენებს შორის არსებობს. ამ მოსაზრებას ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ჩაუყარეს საფუძველი ცნობილმა ბერძენმა ისტორიკოსებმა და გეოგრაფებმა. მაგალითად, აღნიშნული თვალსაზრისის ნათელსაყოფად სტრაბონმა ერთ-ერთმა პირველმა ჩაატარა კვლევა ორივე ქვეყანაში (თუმცა პირენეის ნახევარკუნძულზე მას ფეხი ფიზიკურად არც კი დაუდგამს) და დაასკვნა, რომ ესპანელებსა და ქართველებს ერთმანეთთან ნამდვილად ჰქონდათ ეთნიკური ნათესაობის საფუძველზე განმტკიცებული ისტორიული ურთიერთობა (Mendoza 2019).

ანტიკური დროიდან მოყოლებული, ამ მოსაზრების დადასტურებას სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით აქტიურად ცდილობს არაერთი მეცნიერი. მაგალითად, ალექსანდრე ბოდრიმონის ხაზგასმით, „დასავლეთის იბერები ემიგრაციაში წავიდნენ კავკასიიდან და თავიანთ ახალ ტერიტორიას იბერია უწოდეს“ (ABC 2015).

იმავე აზრისაა დანილო არანტესიც. კერძოდ, მისი მტკიცებით, „ბასკურსა და ქართულს შორის არის ტიპოლოგიური მსგავსება“ (El Trapecio 2021). ხსენებულ ხალხთა ენებს შორის არსებული ამგვარი სიახლოვე ნათლად აჩვენებს ქართველებსა და ესპანელებს (ბასკებს) შორის არსებულ ნათესაურ ურთიერთობას.

დ. არანტესის აზრით, ქართულ და ესპანურ ენებს, ყოფას, ტრადიციებსა და კულტურებს შორის არსებული ამგვარი მსგავსება და ისტორიული სიახლოვე ნამდვილად უნდა მივიჩნიოთ ესპანეთით ქართველ ემიგრანტთა დაინტერესების განმაპირობებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. თუმცა ეს მოსაზრება ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც სამომავლოდ საჭიროებს მყარად დასაბუთებას.

პოლიტიკური და ისტორიული ფაქტორები: მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ესპანეთში ქართველთა მიგრაციის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამო-

უკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში იქ შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობა უნდა მივიჩნიოთ. როგორც ცნობილია, 1991 წლის 9 აპრილს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველო საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი წლები ქართველებისთვის ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც უაღრესად მძიმე პერიოდი იყო. იმდროინდელ მდგომარეობაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად ინტერვიუ ავიღეთ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორთან – მანანა ზიგზივაძესთან.

აი, როგორ შეაფასა მან იმდროინდელ საქართველოში არსებული უაღრესად რთული მდგომარეობა: „ძალიან მძიმე პერიოდი იყო როგორც დამოუკიდებლობამდე, ისე მის შემდეგაც. ეკონომიკა იყო მერყევი. უსაფრთხოება პრაქტიკულად არარსებობდა და დანაშაული იმდროინდელი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. კომუნიზმი ფარსი იყო. საბჭოთა პერიოდში ქალაქებზე ყველაფერი კარგად ჩანდა, სინამდვილეში კი მდგომარეობა სულ სხვაგვარად იყო“. ჩვენს შეკითხვაზე – როგორი იყო საბჭოთა პერიოდის საქართველოში არსებული მდგომარეობა? – მან განაცხადა:

„შეიძლება ითქვას, პოლიტიკაც ისეთივე იყო, როგორიც ეკონომიკა – ძალიან არასტაბილური. სანამ პოლიტიკოსები ჯიბეებს ისჯელებდნენ, ჩვენ მუდმივ მანიპულირებას განვიცდიდით. მათ, ვისაც ძალაუფლება ჰქონდა, გონება აგვირიეს იმის პროპაგანდით, რომ ჩვენ, კაპიტალისტური ქვეყნების მოქალაქეებთან შედარებით, ბევრად უკეთესად ვცხოვრობდით და ყველას გვქონდა სახლები და საკვები, კაპიტალისტურ ქვეყნებში მცხოვრებნი კი ღარიბები და უსახლკაროები იყვნენ, განათლებას მოკლებულნი. ტელევიზორში ვერაფერს ვხედავდით, რაც იქაურ ყოფაზე მეტ-ნაკლებად მართალ წარმოდგენას შეგვიქმნიდა. საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებს კაპიტალისტური სამყაროს მხოლოდ ნეგატიური მხარის ჩვენება სურდათ, რათა დავერწმუნებინეთ, რომ კომუნიზმი

იყო ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტა და საუკეთესო სისტემა“.

ჩემს შეკითხვაზე – როგორი იყო საქართველოში არსებული სოციალური მდგომარეობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ? – ჩემმა რესპონდენტმა მითხრა:

„ქვეყანაში არსებული ზემოთ ნახსენები ქაოსი და ეკონომიკურად არასტაბილური მდგომარეობა, მართალია, სტაბილიზაციის გზას კი დაადგა, მაგრამ ამ თვალსაზრისით სასურველი რეალობის დადგომამდე ჯერ კიდევ დიდი და რთული გზა არის გასავლელი“.

მას შემდეგ, რაც საქართველომ რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანაში გაიხსნა დემოკრატიული ინსტიტუტები და განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები ექმნება საბაზრო ეკონომიკასა და ტურიზმს. დამოუკიდებლობის აღდგენის მომდევნო ათწლეული იმდენად რთული პროცესის მომცველი პერიოდი იყო, რომ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა იმიგრაცია.

აი, რა თქვა ჩვენმა ინტერვიუერმა ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში ამასთან დაკავშირებით: „მიუხედავად იმისა, რომ გაჩნდა იმედი ქვეყანაში არსებული ზემოთ ნახსენები საზოგადოებრივი ქაოსისა და ეკონომიკური დესტაბილიზაციის დარეგულირებისა, სასურველი ეკონომიკური სტაბილიზაცია ჯერჯერობით კვლავაც არ არის მიღწეული, რაც არსებითად განაპირობებს იმას, რომ კვლავაც მაღალია ქვეყნიდან მოქალაქეთა მიგრაციის მაჩვენებელი“.

ეკონომიკა და ჯანმრთელობა: ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც ესპანეთს ქართველი ემიგრანტებისთვის მიმზიდველ ქვეყნად აქცევს, ამ სახელმწიფოში არსებული მაღალი დონის ეკონომიკური მდგომარეობა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე აქტიური მზრუნველობაა. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკი:

Evolución de las mayores economías del mundo

Clasificación mundial, PIB en miles de millones de dólares

	2017	2018	2019	2020	2023
1 🇺🇸 EE.UU.	19.401,4	20.613,0	21.493,4	22.209,3	24.679,8
2 🇨🇳 China	12.014,6	13.457,3	14.172,2	15.462,0	19.590,6
3 🇯🇵 Japón	4.873,2	5.070,6	5.320,6	5.371,7	5.007,6
4 🇩🇪 Alemania	3.700,6	4.020,1	4.117,1	4.331,7	4.097,2
5 🇧🇷 Reino Unido	2.620,4	2.600,9	2.867,7	3.258,9	4.329,9
6 🇫🇷 Francia	2.602,3	2.794,7	2.844,7	2.979,4	3.363,5
7 🇮🇳 India	2.507,7	2.690,0	2.831,9	3.612,9	3.277,1
8 🇮🇹 Italia	2.095,1	2.099,9	2.112,8	2.191,7	2.399,6
9 🇧🇷 Brasil	1.931,7	1.908,4	1.929,7	2.027,6	2.351,3
10 🇨🇦 Canadá	1.683,0	1.733,7	1.806,4	1.897,9	2.321,9
11 🇰🇷 Corea del Sur	1.577,5	1.693,6	1.699,7	1.791,8	2.074,6
12 🇷🇺 Rusia	1.540,5	1.576,5	1.648,2	1.683,8	1.819,4
13 🇦🇺 Australia	1.379,5	1.437,0	1.474,1	1.599,9	1.794,4
14 🇪🇸 ESPAÑA	1.314,0	1.427,8	1.464,4	1.541,4	1.754,4
15 🇲🇽 México	1.151,0	1.199,3	1.242,4	1.306,8	1.527,0
16 🇮🇩 Indonesia	1.015,4	1.005,3	1.006,8	1.175,1	1.446,4
17 🇹🇼 Taiwán	861,5	900,9	933,2	915,3	1.196,8
18 🇦🇪 Arabia Saudí	632,2	700,9	705,6	801,3	958,3
19 🇮🇷 Irán	606,7	713,5	731,1	706,6	689,9
20 🇹🇭 Tailandia	679,0	708,1	631,2	744,1	873,6

გრაფიკი 2: მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების ეკონომიკური ევოლუცია (იხ.: Trinchet 2009).

როგორც დამოწმებული დიაგრამიდანაც თვალნათლივ ჩანს, ესპანეთი ეკონომიკურად ერთ-ერთი მაღალგანვითარებული სახელმწიფოა. კერძოდ, მსოფლიოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების ინდექსით იგი სტაბილურად იკავებს XIII-XIV ადგილებს, გაეროს ეკონომიკის დეპარტამენტის კვლევათა მიხედვით კი ევროპაში მეექვსე ადგილზე იმყოფება (UN 2022).

ესპანეთის მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური დონის ნათელსაყოფად აქ შემდეგ ოფიციალურ მონაცემებსაც დავიმოწმებთ: ამ ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე ცხოვრების დონის მაჩვენებელი 2021 წელს 2 5410 ევრო იყო, რის შედეგადაც იგი მსოფლიოს 196 ქვეყნიდან 33-ე ადგილზე იმყოფებოდა (Macro Data 2022).

ცხოვრების მაღალ ეკონომიკურ დონესთან ერთად აქ ის აქტიური მზრუნველობაც უნდა აღინიშნოს, რომელსაც ესპანეთის ხელისუფლება მისი მოსახლეობის

ჯანმრთელობის დასაცავად იჩენს. კერძოდ, ჯანდაცვის ინდექსის მიხედვით, ესპანეთი ამ მიმართულებით მეშვიდე ადგილზეა, საქართველო კი 114-ე პოზიციაზე იმყოფება (Numbeo 2021).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქვეყნების რეიტინგში ესპანეთი მყარადაა დამკვიდრებული 25-ე ადგილზე (Expansión 2019). ამ შედეგის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად ისიცაა მიჩნეული, რომ ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ესპანეთში უფრო დიდია, ვიდრე საქართველოში. კერძოდ, 2019 წლის მონაცემების მიხედვით, ესპანელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 81,1 წელს შეადგენდა, ქართველებისა კი – 74,1-ს (UN 2022).

დასკვნა: ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოთქმულის შედეგად თვალნათლივ წარმოჩინდა ის ფაქტორები, რომელთა შედეგადაც ესპანეთი ქართველი ემიგრანტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მეტად სასურველ იმ ქვეყნად იქცა, სადაც ისინი ეკონომიკურადაც და უფლებრივადც ნორმალურ ცხოვრებისეულ გარემოში შეძლებენ ცხოვრებას.

გამოყენებული ლიტერატურა

Arantes 2021 – Arantes D., მეოთხე ხიდი კავკასიის იბერიისთვის. ტრაპეცია. 2021. https://eltrapezio.eu/es/opinion/el-cuarto-puente-para-la-iberia-del-caucaso_20746.html ნახვის თარიღი: 8/2/2021.

Expansión 2019 – საქართველოში მცხოვრები ემიგრანტების რაოდენობა იზრდება. მაკრომონაცემები. 2019. <https://datosmacro.expansion.com/demografia/migracion/inmigracion/georgia> ნახვის თარიღი: 2/13/2021.

Expansión 2021 – ესპანეთი: ეკონომიკა და დემოგრაფია. მაკრო მონაცემები. 2021. <https://datosmacro.expansion.com/paises/espana>.

INE 2021 – ესპანეთის სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტი. უცხოური მოსახლეობა თემებისა და პროვინციების მიხედვით, ეროვნება და სქესი, 2021 <https://www.ine.es/jaxi/Tabla.htm?path=/t20/e245/p04/provi/10/&file=0ccaa002.px> ნახვის თარიღი: 4/28/2021.

López-Seivane 2015 – López-Seivane F., საქართველო, ბასკების აკვანი?. 2015. ABC. <https://abcblogs.abc.es/cronicas-nomada/europa/viajar-georgia-origen-vascos.html> ნახვის თარიღი: 03/22/2022.

Mendoza 2019 – Mendoza R., რატომ არიან ქართველების ესპანელი „ბიძაშვილები“? 2019 https://www.cope.es/actualidad/sociedad/todo-tiene-un-por-que/noticias/por-que-los-espanoles-somos-primos-los-georgianos-20191002_510743. ნახვის თარიღი: 3/20/ 2021 წ.

Numbeo 2021 – ჯანდაცვის ინდექსი ქვეყნების მიხედვით 2021 წლის შუა წელი, 2021. https://www.numbeo.com/health-care/rankings_by_country.jsp. ნახვის თარიღი: 4/20/2021.

Trincado 2009 – Trincado B., მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის ევოლუცია. ხუთი დღე. 2009. <https://d500.epimg.net/descargables/2018/10/09/b4450731db5a777691c27dd9defe5580.png>. ნახვის თარიღი: 9/10/2021.

UN 2022 – გაეროს მონაცემთა ბაზა, 2022. <https://www.un.org/es/library/page/databases> ნახვის თარიღი: 5/27/2021.

<https://www.larazon.es/internacional/20200526/hl3mea4y6neazclpcuswbe5oi.html> ნახვის თარიღი: 2/22/2021.

Sebastian (Saba) Guillén

**THE MAIN FACTORS DETERMINING
THE GROWTH OF POPULATION
MIGRATION FROM GEORGIA
TO SPAIN IN THE YEARS OF 2000-2010**

Summary

The following article is based on the data published by the National Institute of Statistics under the Ministry of Economy and Finance of Spain, and the works of Spanish researchers (Ruben Mendoza, Danilo Arantes, Alexander Bodrimon and others) and analyzes the issues related to the settlement of Georgian immigrants in Spain from 2000 to 2010. A significant number of researchers consider the historical closeness between Georgians and Spaniards to be one of the important factors determining the interest of Georgian immigrants in Spain.

According to UN data, the number of Georgians immigrating to Spain in 2019 was 9076, making Spain the eleventh country in the world Georgians chose to immigrate to at that time. This data only included people identified by the Spanish government and did not include Georgian migrants who entered the country illegally. Moreover, according to the data of the National Institute of Statistics of Spain, the number of Georgian immigrants in this country is increasing every year.

As mentioned before, the cultural and historical closeness between Georgians and Spaniards should be considered as the main factor determining the immigration of Georgians to Spain. Spaniards and Georgians can be considered “cultural cousins.” Several similarities can be clearly observed in the history of these two countries. Spaniards and Georgians even have the same name for their homeland - Iberia, and many historians theorize that they had a common ancestor in the distant past.

The opinion related to the kinship of the Spaniards and Georgians is especially strengthened by the closeness that exists between the Basque and Georgian languages. This opinion was laid down by famous Greek historians and geographers. For example,

Strabo was one of the first to conduct research about both countries (although he never physically set foot on the Iberian Peninsula) and concluded that the Spaniards and Georgians really had a strong historical relationship based on ethnic kinship. Since then, many scientists and historians are actively trying to confirm this opinion.

Other factors that make Spain an attractive country for Georgian immigrants have to do with high economic standard of living and good healthcare system in this country. According to the index of economic development among the countries of the world, Spain is steadily occupying the XIII-XIV places, and according to the studies of the United Nations Economic Department, it is in the sixth place in Europe. Along with the high economic standard of living, the active concern that the Spanish government shows to protect the health of its population should also be mentioned here. Based on all of the above, Spain is firmly established in the 25th place in the ranking of the happiest countries in the world.

The above mentioned factors have resulted in Spain becoming one of the most desirable countries for Georgian immigrants, a place where they can achieve social and economic stability.

ნინო ხახიაშვილი

სიტყვა მხევე-ის ისტორიისათვის

ცნება „ადამიანის“ აღსანიშნავად ძველ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში ძირითადად სიტყვა **კაცი** გვხვდება, ასევე გამოყენებულია ხატოვანი (მეტაფორული) სახეები, რომლებიც ფილოსოფიურ-თეოლოგიური სწავლების შემცველია, რაც ნათლად ჩანს შემდეგ მაგალითებშიც: „სოფელი მცირე“, „ტაძარი უფლისა“, „მიწა შეურაცხი“, „მცენარე ზეცისა“, „ადრეჭნობადი ყუავილი“, „ცხოვარი წარწყმედული“, „ჭური თვთმოძრავი“, „წუთისოფლის მგზავრი“, „ნაშობნი ურჩებისანი“ და ა. შ. მათ შორისაა სიტყვა **„მხევე“** – **„მხევემ ქუეყანასა ზედა (სოფელსა ამას შინა)“**, რომელიც მხოლოდ ძველ ტექსტებში დასტურდება „მწირის“, „უცხოს“, „საწუთროში („საწუთოს სოფელში“) მცხოვრების“, „მდგურის“, ¹ „დროებით მოსულის“ მნიშვნელობით:

¹ამ ცოდნის გამოძახილია, ვფიქრობთ, ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთ-ერთი ლექსის ფრაზები „სოფელი ესე“ და „მისნი მდგმურნი“. „ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა, ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა...“; არსებობს თვალსაზრისი, რომ პოეტი ფრანგი განმანათლებლების გავლენასაც განიცდიდა: ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწარმოები „ახლოდ განჩხრევილი კაცი“ („ქმნილი მხოლოდობისა თვისისა ჟამსა რომლისამე ფრანცუზისაგან, ოდეს განვიდა იგი პარიჟით უდაბნოსა შინა საცხოვრებლად“...) „ფრანგი განმანათლებლის, კ. ფ. ვოლნეის... თხზულების – „ნანგრევები ანუ ფიქრები იმპერიათა რევოლუციაზე“ (1791) – თავისუფალი თარგმანია (გ. ნატროშვილი, უდაბნოში დაწერილი წიგნი. – „მნათობი“ 1961, №12, გვ. 143)“ (ჭავჭავაძე 1986: 308). ეს თხზულება ალექსანდრე ჭავჭავაძემ ერეკლე მეფის ძეს, 48

„შეისმინე ლოცვისა ჩემისაჲ უფალო, და ვედრებისა ჩემისაჲ ყურად-ილე; ცრემლთა ჩემთასა ნუ დაიდუმებ, რამეთუ **მსხემ** ვარ შენ წინაშე და წარმავალ, ვითარცა ყოველნი მამანი ჩუენნი“ (ფსალმ. 38,12-13); „რამათჳს იქმენ, ვითარცა რაჲ **მსხემი ქუეყანასა** ზედა და ვითარცა მის ქუეყანისა მიმქცევი სავანედ?“ (იერ. 1,8); „იყვნეს იგინი რიცხვთ მცირედ-მცირედ და **მსხემ** მას ზედა“ (ფსალმ. 104,2)... „სამებასა უფლისა საშუვლოდ შევემეცნე აღთქუმისაებრ, რომელმან მყო **სოფლისა მსხემ** (ეფრემ მცირე, 363); „**მწირნი** და **მსხემნი** ვართ სოფელსა ამას შინა, თქმულისაებრ მოციქულისა“ (აკათისტო ღირსი დედისა მარიამ მეგვპტელისა); „**მწირი** და **მსხემი**, ეგრეთ დამსხემი², ქებისა ვიქმენ თქვენთვის შემკადრედ“ (იოანე შავთელი, „აბდულმესიანი“); „თქვა ჯუმბერ: სამნი განიძებიან: ერთი: მეზვრე – ქურდი ყურძნისა; მეორე: მკურნალი – წამლისა უმეცარი; მესამე: **მსხემი** უამებელი“ (სულხან-საბა, „სიბრძნე სიცრუისა“, 12)...

სიტყვა **მსხემ**-ი და **მსხემობა** უმთავრესად ბიბლიაში, ძველი აღთქმისა და ფსალმუნთა წიგნებში გვხვდება და ლექსიკონებშიც, ძირითადად, აქედანაა დამოწმებული:

ფარნაოზს უძღვნა: „მისის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ირაკლის ძის ფარნაოზისადმი. უგანათლებულესო მეფის მყო, უმოწყალესო ხელმწიფო! ფრიადი მოწყალება, რომელი მიხილავს მე თქვენ შორის, მცემს კადნიერებასა ამას, რათა შრომათა ჩემთა მცირისა ნაყოფისა ამის შეწირვა გავუბედო უგანათლებულესსა სახელსა თქვენსა, არა მიმხედველი ნაკლულევანებათა მათ, რომელნი უსაშვალოდ იპოვებიან მუნ, არამედ მოიმედე კეთილმშენებლობისა თქუენისაგან...“ (ჭავჭავაძე 1986:185).

²**დამსხემი**-ი „მგალობელი, ხოტბის შემსხმელი“ (ნ. მარი); „მოსულ-დაბინავებული“ (მ. ჯანაშვილი) (ლოლაშვილი 1964: 271). ივანე ლოლაშვილი კომენტარებში აღნიშნავს, რომ „ქრისტიანული მოძღვრებით, ადამიანი ამ ქვეყნად დროებით მოსულად ითვლება. რომ ღვთის მსახურს ეს გარემოება მარად ჟამს ჰხსოვნებოდა, ის თავის თავს უწოდებდა მწირს ამ მსხემს. ამიტომ ადვილი საფიქრებელია, შავთელი ყოფილიყო ბერი...“, თუმცა ნ. მარის აზრით, „მწირი და მსხემი“... мог бы означать странника и не духовного звания“ (იქვე). ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით, странник არის „მწირი, მსხემი, უცხო მგზავრი, ყარიბი“ (ჩუბინაშვილი 1973).

დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიულ ნაშრომში **მსხემი** ასეა განმარტებული: „**სხემ-ი** || **მსხემ-ი** ერთის ადგილით აყრილი და მეორეს ადგილს გადასახლებული კაცი ბოგანო, ეგრეთვე, **ამ საწუთოს სოფელში მცხოვრებთ** ნიშნავს (საღმრთო წერილი): „ვითარცა **მსხემ** და წარმავალ ვართ“³ (ლექსიკოგრაფ. 1967).

სულხან-საბას განმარტებით „**მსხემი** ესე არს, რომელი უმკვიდროთა და სხვათა ადგილთა გამოიზრდებოდეს და ადრე წარმავალ იყოს, ხოლო **მწირი** სხვაგან გამოიზრდებოდეს და გვიანად წარმავალი იყოს და არა დამკვიდრებადი...“ (სულხან-საბა 1991).

დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში **მსხემი** არის: „უბინაო კაცი, მწირი, უცხო, скиталец, странник, пришелец, поселенец... **მწირ-ი** უცხო, მსხემი, სხვაგნით მოსული, странник, чужестранец, пришелец... (ჩუბინაშვილი 1984).

ილია აბულაძის ლექსიკონში **მსხემ**- სიტყვის განსხვავებული, ზოგჯერ კი – თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი, საპირისპირო მნიშვნელობების მქონე ლექსიკური ერთეულებია დადასტურებული რედაქციულ ვარიანტებში (მაგ., „მკვიდრი“ – „მწირი“, „შინ მყოფი“ – „მოსრული“...)⁴:

„**მსხემ-ი** „შინ მყოფი“, „მწირი“, „მოსრული“, „დამონებული“, „დამკვდრებული“, უცხო, ყარბი: „მსხემი მღდე-

³მდრ.: „რომელთა-ეგე არა იცით ხვალისაჲ, რამეთუ ვითარი არს ცხორებაჲ თქუენი? ვითარცა კუამლი ხარო, რომელნი მცირედ ჩანნ და მერმე განქარდების“ (კათოლიკე ეპისტოლე წმ. იაკობ მოციქულისა 4,14); აგრეთვე, „კაცი, ვითარცა თივაჲ, არიან დღენი მისნი; ვითარცა ყუავილი ველისაჲ, ეგრე აღყუავდეს; რამეთუ განვლო სულმან მის შორის, და არღარა იყოს, და არცა იცნას ადგილი მისი“ (ფსალმ. 102,15).

⁴როგორც ედიშერ ჭელიძე შენიშნავს, „საზოგადოდ, „პაროიკიას“ ანუ „მწირობას“ (თუ ეს „მწირობა“ უცხო ადგილას მყარ დაფუძნებულობას გულისხმობს), არაიშვიათად მოსდევს ან პარალელურ რედაქციაში ვარიანტულად ენაცვლება სწორედ დამკვიდრებულობის შინაარსის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები (ამგვარი ვარიანტულად მონაცვლე ტერმინი ბერძნულში, ჩვეულებრივ, არის სწორედ „მკვიდრობის“ აღმნიშვნელი „კატოიკია“... რამდენიმე ნიმუში: „სადაცა ვინა დამკვდრებულ იყოს...“ G: „რომელსა შინა მსხემ იყოს იგი“ მსჯ. 5,17; „წარვალ მე მწირობად...“ G: „მე ვრონიებ დამკვდრებად“ მსჯ. 17,11; „დაადგრა მკვდრობად კაცისა მის თანა...“ G: „იწყო მსხემობად კაცისა მის თანა“ II მგ. 43...) (შენიშვნ. 53) (ჭელიძე 2012).

ლისად“ G, – „შინ მყოფმან მდღელისამან“ pb., ლევიტ. 22,10; „მსხემ იყავ ქუეყანასა მათსა“ G, – „მწირ იყავ ქუეყანასა მათსა“ pb., ლევიტ. 23,7; „არა ჰქმნეთ მკვდრმან და **მწირმან მსხემმან**“ G,⁵ – „არა ჰქმნეთ მას შინა მკვდრმან და **მწირმან, რომელი მოსრულ იყოს** თქუენ შორის“ pb, ლევიტ. 16,29... “

ილია აბულაძის ლექსიკონში, ასევე, და-დასტურებულია: **მსხემ || სხემ-ყოფა** „მკვდრობა“, „მწირობა“, „წარტყუნვა“: „მსხემ იყო ღავას“ G, – „მკვდრობდა იგი გაბაას“ M, მსჯ. 19,16; „მსხემი ბევრთა შორის მთისა ეფრემისთა“ G, – „რომელი მწირობდა ადგილთა მთისა ეფრემისთა“ M, მსჯ. 19,1; „რომელნი **სხემ** ყვნა ნაბუქოდონორ მეფემან“ O, – „რომელნიცა წარსტყუნა ნაბუქოდონორ მეფემან“ pb., ნემ. 7,6...

მსხემობა „მწირობა“, „მკვდრ ყოფა“, „მკვდრობა“, „დამკვდრება“: „რად მსხემობ ნავთა შინა“ G – „რამსათვს მკვდრ ხარ ნავთა შინა“ M, მსჯ. 5,17; „იწყო მსხემობად (მკვდრობად M) კაცისა მის თანა“ G, მსჯ. 17,11...

მსხემობა ყარიბობა, უცხოობა: „შვილნი მსხემობისანი“ O, II ეზრ 8,35; „წარვიდა კაცი... მსხემობად ველსა მას მოაბისასა“ G, – „წარვიდა კაცი... მწირობად სოფელსა მას მოაბისასა“ M, რუთ. 1,1“... და ა.შ. (აბულაძე 1973).

შდრ.: **მწირ-ი** „ვედრი“, „მოქცეული“, „დამონებული“, უცხო, მოსული, გერი, ყარიბი, შორიელი ქვეყნისა, „შემყოფი“, „მდგური“, „მსხემი“... **მწირობა** ყარიბობა, უცხოობა, ტყვეობა, „მსხემობა“, „გარდასახლება“: „უცხოებად აღირჩია და მწირობით და სიგლახაკით ცხორება“ ი.-ე. 15,3; „შთავიდა... მწირობად მუნ“ O, – „შთავიდა... მსხემობად მუნ“ pb., ეს. 52,4; „მწირობისა იგი დასაბამი ესე არს“ O, – „გარდასახლებისა დასაბამი ესე არს“ pb., აბდ. 1,20; „წარვიდა... მწირობად, სადაცამცა პოვა“ M, – „წარვიდა... მსხემობად, სადაცა პოოს ადგილი“ G, მსჯ. 17,8... (აბულაძე 1973).

ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ **მსხემი** განმარტებულია როგორც „უცხო; მწირი“,

⁵ყურადღებას იქცევს ბოლო ილუსტრაცია, სადაც **მკვიდრთან** ოპოზიციამში **მწირი** და **მსხემი** ერთდროულად არის გელათის ბიბლიის ტექსტში: „არა ჰქმნეთ მკვდრმან და **მწირმან მსხემმან**“ G. (ბაქარის გამოცემულ) გვიანდელ რედაქციაში ცვლილებაა: „მკვდრმან და **მწირმან, რომელი მოსრულ იყოს** თქუენ შორის“ pb, ლევიტ. 16,29...“

მსხემობა „ხიზნობა“, **მსხემობაა** „ხიზნობა; ხიზანთ კრებუ-
ლი“, **მსხემ-ყოფა** „გამეგება“ (სარჯველაძე 2001).

კორნელი დანელიას განმარტებითაც **მსხემობა** არის
„**უცხოობაში ყოფნა, მწირობა**. დაბ. 24,37; რუთ.1,1... **მწირობა**
„უცხოობაში ყოფნა“: [და მიგცე შენ] ქუეყანად ეგე, რომელსა
ზედა შენ ჰმწირობ, დაბ. 17,8 (დანელია 1987: 423).

საინტერესოა, რომ ქართული ენის განმარტებით ლექ-
სიკონში სიტყვა **მსხემი** არ არის შეტანილი, თუმცა განმარ-
ტებულია მისი სინონიმური წყვილი **მწირი**: „**მწირ-ი**... 1.
უცხოეთიდან გადმოხვეწილი, – უთვისტომო, უნათესავო...
// უცხო მგზავრი... // გადატ. ღარიბი, უქონელი... 2. უხარის-
ხო მონაზონი, – მორჩილი. **მწირმა უარყო სოფელი, ირჩია**
სულით ცხოვნება (ვაჟა)... ; **მწირი**⁷ უნაყოფო, მოუსავლიანი...“
(ქეგელ 1958).

როგორც ვნახეთ, **მსხემი** და **მწირი** ხშირად ერთმანე-
თის პარალელურად, სინონიმად დასტურდება ძველ ქართულ
ლიტერატურულ წყაროებში, იშვიათად, „**მწირისა**“ და „**მსხე-
მისა**“ მონაცვლე ქართულ ტერმინებად თავს იჩენს „**მოქცეუ-
ლი**“, „**ვედრი**“, „**შემყოფი**“, „**მოსაზღვრე**“, „**გარემოსრული** [გა-
რეთმოსრული O]“, „**მრეზლი**“, „**მრწემი**“, „**მდგური**“...

გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა **მსხემი** და **მწირი**
ერთდროულად დასტურდება ტექსტში⁷, მაგ.:

„და იყოს ესე თქუენდა შჯულად საუკუნოდ: თთუესა
მას მეშვიდესა, ათსა თთვსასა დაიმდაბლნეთ სულნი
თქუენნი, ყოველივე საქმე თქუენი არა **ჰქმნეთ** მას შინა
მკვდრმან და **მწირმან**, რომელი მოსრულ იყოს თქუენ შო-
რის...“ (ლევიტ. 16,29) AKSB... შდრ.: გელათურ რედაქციაში:
„...არა **ჰქმნათ მკვდრმან და მწირმან მსხემმან თქუენ**
შორის...“ G ; განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ერთ-ერთ
რედაქციაში (A-H 1207) **მსხემის** ნაცვლად **მრწემია**⁸: „არა
ჰქმნეთ მას შინა **მკვდრმან და მრწემმან...**“ AK (ლევიტ. 16,29).

⁷შდრ.: „**უცხოობისა ამის და მწირობისა სოფელსა შინა** რუდუნებით და
მარტოებით ვიყოფოდი“ (იოანე ზედაზნელის ცხოვრ.).

⁸ილუსტრაციები შედარებისათვის მოგვყავს წიგნიდან: „წიგნნი
ძუელისა აღთქუმისანი“, რომელიც მომზადებულია ყველა არსებული
ხელნაწერის მიხედვით (წიგნნი... 1990).

⁹**მრწემი** „უკან შობილი ZABC... უმცროსი ძმა E“ (სულხან-საბა 1991).

ანალოგიური შემთხვევებია სხვაგანაც: „...და **მწირმან მან, რომელი მოსრულ იყოს** თქუნ შოვრის... (ლევიტ. 17,12) SB.; შდრ.: „...**მწირმან და მრწემმან**... A. ; **შემოსულმან**... K.“; ასევე, ლევიტ. 17,12: „და ყოველმან კაცმან, რომელმან ჭამოს... ნამკეცავი, **მკვდრთაგანმან** გინა **მწირთაგანმან**...“ SB.; შდრ. G: „ყოველმან სულმან, რომელმან ჭამოს... ნამკეცავი, **მკვდრთა** გინა **მწირთაშორისმან**...“; AK: ... ჭამოს... ნამკეცავი **გარეთ შემოსრულთაგანმან**, გინა **მწირთაგანმან**, გინა **შიშუელთაგანმან ბუნაკმან მის სოფლისამან**...“ (ლევიტ. 17,15) და ა.შ.

ამ რედაქციულ სხვაობებთან დაკავშირებით ბაქარ გიგინეიშვილი აღნიშნავდა, რომ ძველი აღთქმის წიგნთა დიდი ნაწილის, მათ შორის ხუთწიგნეულის, უძველესი თარგმანი ბერძნულიდან უნდა შესრულებულიყო, ამ ძველმა თარგმანებმა კი სომხურთან, სირიულთან, ებრაულთან და კვლავ ბერძნულთან შედარების მრავალი ეტაპი გაიარეს. საინტერესოა, რომ სიტყვის შენაცვლების დროს ზოგჯერ გადამწერი შესაცვლელ სიტყვას არ შლის და შეცვლის მაგიერ ჩამატებას ვიღებთ... ამ დროს, ხშირად, ძველი ლექსიკაც იჩენს თავს: „ძალზე საყურადღებოდ გვჩვენება ის ფაქტი, რომ ლევიტელთა წიგნშიც არის სამი მონაკვეთი ტექსტისა 12-13 მუხლის ოდენობით, სადაც AK ჯგუფი გამოეყოფა დანარჩენ ხელნაწერებს და უპირისპირდება რედაქცი-ულად, ერთის მხრივ, ოშკურ ტიპს, მეორე მხრივ კი – გელათურს. ესაა შემდეგი ადგილები: ლევ. 10,7 – 10,18; 15,33 – 16,12; 17,10 – 18,5. ეს ის ადგილები უნდა იყოს ლევიტელთა წიგნისა, რომლებშიც A და K ნუსხებს თავისი ძველი ტექსტი აქვთ შემონახული. ლევიტელთა წიგნში AK (ისევე, როგორც S და B ნუსხები) ოშკური რედაქციისაა, გარდა ამ სამი დასახელებული ადგილისა...“ (გიგინეიშვილი 1989: 34,44). ამის ნიმუშია სწორედ ზემოთ მოყვანილი მაგალითები.

მსხემი და მწირი ძველი აღთქმის თარგმანებში ორიგინალის ტერმინებს (ებრაულში – **გერ**- ძირიან სახელებს, ხოლო ბერძნულში – **პაროიკიას** (და მისგან ნაწარმოებ ტერმინებს) შეესატყვისება.

ჟურნალ „ეტიმოლოგიურ მიებანში“ (V, 1991) გამოქვეყნებული იყო სტატია „**გერ**- ძირის ისტორიისათვის ქართულში“, სადაც ვკითხულობთ: „ძველ ებრაულში არის

ძირი... (*gēr*), რომელიც მოსულს, ებრაელთა შორის დასახლებულ უცხო ტომის შვილს აღნიშნავს, ამ ძირს აქვს აგრეთვე პროზოელიტის (ანუ ახლად მოქცეულის) მნიშვნელობა... ძველი აღთქმის წიგნებში **გერ-** ძირი სხვადასხვა ფორმით მრავალჯერ გვხვდება (დაბ. 23,4... გამოსლ. 2,22, 18,3... 2 სჯ. 1,16...) [გეზენიუსი 1910]. უკლებლივ ყველა შემთხვევაში ძვ. ებრ. **გერ-** ძირი ბიბლიურ წიგნთა რუსულ თარგმანში გადმოიცემა სიტყვით „пришелец“ ან „чужой, прохожий“, გერმანულში კი – „fremd-“ ფუძით... ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში გერ- ძირიან ფორმებს შეესატყვისება „**მწირი**“ ან „**მსხემი**“... (ლერნერი... 1991: 39-40).

როგორც ავტორები აღნიშნავენ, „სინონიმები **მწირი//მსხემი** ძველი ებრაული **გერ-** ძირის ყველა კონტექსტუალურ მნიშვნელობას ამოწურავს... ებრ. „**გერ**“-ს შეესატყვისება ზუსტი შინაარსობრივი ეკვივალენტი – „**მწირი**“, „**მსხემი**“ და არცერთ შემთხვევაში ებრ. **გერ-** არ გადმოიცემა ქართ. **გერ-**ით, რაც სრულიად ბუნებრივია ქართულში მიღებული ამ ძირის მნიშვნელობის, ებრაული **გერ-** ძირის სემანტიკისა და ამ ძირის სხვა ენებზე შინაარსობრივი თარგმნის ტრადიციის გათვალისწინებით...“ (ლერნერი... 1991: 40).

აგრეთვე, ედიშერ ჭელიძე ერთ-ერთ წერილში, სასულიერო ტერმინების მიმოხილვისას შენიშნავს, რომ „ტერმინი **მწირობს** შეესაბამება ორიგინალის⁹ ტერმინს **paroikouŌsa**. იგი მომდინარეობს ზმნიდან **paroike;ο**, რაც კალკირებულად ნიშნავს „სახლის გარეთ, სახლის მიღმა, სახლის გვერდის ავლით ყოფნას“ (**para** – „გარე“ ... **οέŌkoñ** – „სახლი“).

ეს ზმნა და მისი ინფინიტივურ-მიმდევრული ფორმები, ისევე როგორც არსებითი სახელი **paroikiva, paroikhsiva** („**მწირობა**“) და **pa;roiko** („**მწირი**“) ხშირად დასტურდება წმინდა წერილში. შესაბამისი მუხლების ძველი ქართული თარგმანები მოწმობს აღნიშნული ტერმინის ორ ძირითად შესატყვისს: „**მწირი**“ და „**მწირობა**“ – არსებითად **ოშკური რედაქციისათვის** და „**მსხემი**“ და „**მსხემობა**“ – არსებითად **გელათური რედაქციისათვის**...¹⁰ „მწირობის“ აღმნიშვნელი

⁹ იგულისხმება ბერძნული.

¹⁰ ოშკის, ანუ ათონის ბიბლია (978 წ.) წარმოადგენს ძველი აღთქმის წიგნების დღეისათვის ყველაზე ადრეულ ნუსხას, რედაქციულად მასთან ძალიან ახლოს დგას გელათის ბიბლია (XII ს.) (შანიძე 2008: 86).

„პაროიკია“ (paroikiva), ძველთაგანვე დაიტვირთა „მწირობაში მყოფი სულიერი ძმების კრებულის“, ანუ „მრევლის“, „სამრევლოს“, „დიოცეზის“ (**dioivhsiō** – სიტყვასიტყვით „საგამგებლო“) ანდა „ეპარქიის“ (**eparciav**) მნიშვნელობით... შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება ტერმინი „სამწირო“, როგორც „მწირთა“ ანუ „უცხოთა“, აქედან „დროებით მოსულთა“ ანუ „სტუმართა“ „თავშესაფრის“, იგივე „სასტუმროს“ მნიშვნელობით: „ადიშენოს უკუე სამწიროდსა მის თანა ბორცუსა ზედა კოშკი ერთი“... (შენიშვნ. 71) (ჭელიძე 2012).

ტერმინი **მსხემი**, ორიგინალის (ებრაული და ბერძნული დედნების) ტერმინების მსგავსად, ამ შინაარსის შემცველი უნდა იყოს: ეტიმოლოგიურად მას სწორედ „გარეთმყოფის“, „დროებით მოსულის“, „განდევნილის“, „უცხო“ შინაარსი უნდა ჰქონდეს.

წმიდა მამათა სწავლებით, კაცობრიობა – ესაა პირველცოდვით დაცემული მშობლების – ადამისა და ევას ნაშიერთაერთობლიობა; ამერთობლიობის ანუ კაცობრიობის ყველა წევრს, ადამისა და ევას მემკვიდრე ყოველ ადამიანს დაბადებითვე, გენეტიკურად თან დაჰყვება უცხოობა, ექსორიობა ანუ განდევნილობა, გადასახლებულობა, მწირობა, მსხემობა, საკუთარი სამშობლოსაგან შორს ყოფნა.

ვფიქრობთ, სიტყვა **მსხემი (მსხემობა)** ამ ცოდნის შემცველია: **მსხემი** ისაა, „**ვინც განიდევნა, ვინც გაამევეს**“:

„ოდეს-იგი ჭამა [ადამმა] მისგანი [ხე ცნობადის ნაყოფი], განშიშულდა, **განიძო** იგი სამოთხით ღმრთისადთ“ (სწავლ. 217,9); „**განავლინა** იგი [ადამ] უფალმან ღმერთმან სამოთხისაგან საშუებელისა საქმედ ქუეყანისა, რომლისაგან მოღებულ იქმნა. და **განკადა** ადამ და **დაამკვდრა** იგი წინაშე საშუებელსა სამოთხისასა“ (შესაქმე III, 23-24).

ადამი სამოთხიდან იქნა გამოძევებული და მასთან ერთად, მთელი კაცობრიობაც დევნილია: „რამეთუ პირველ ანგელოზნი აბრალებდეს ევას, ხოლო აწ მარიამს ადიდებენ, რამეთუ უძლურებად იგი დედათად განკურნა და დაცემული დიდებად თვისი აღადგინა და **განძეული ადამ სამოთხით** წარმოგზავნა გზასა მას ზეცისასა, რომელმან დაჰშული სამოთხე განაღო და ავაზაკი დაამკვდრა“ (სინური მრავალთ. 205, 13-16).

„თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველად ბიბლიურ წიგნთა თარგმნას ღვთიური შიშით და კრძალვით ეკიდებოდნენ, ცხადია, ბიბლიის – „ღმრთის სიტყვის“ – ნაციონალურ ენაზე გადმომღებ მორწმუნე ქრისტიან მთარგმნელთ მხოლოდ ის მიზანი ექნებოდათ, რომ მაქსიმალურად ჩასწვდომოდნენ დედნისეულ აზრს და ინდივიდუალური ინტერპრეტაციის გარეშე გადმოეტანათ ის. ურთულესი ბიბლიური ტექსტის უზუსტესად თარგმნის სურვილს არ შეიძლებოდა, არ მოჰყოლოდა ლექსიკურ-სემანტიკური და გრამატიკული კალკები...“ (დანელია 1998: 61).

სხმა (სხამ- ფუძე), რომლიდანაც უნდა მომდინარეობდეს **სხემ-** სახელი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, პოლისემანტიკური ზმნაა და თავისებურებებით გამოირჩევა: **სხმა** რიცხვში მონაცვლეა, ის იხმარება მხოლოდ მრავლობითში. მხოლობითში, ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით, იგი სხვადასხვა ფუძის ზმნას ენაცვლება, როცა ობიექტი მრავლობითშია, ან მრავლობითის გაგებას, კრებითობას გამოხატავს: **სმა** – სხმა (დასმა – დასხმა, ჩასმა – ჩასხმა, გადასმა – გადასხმა...); **ზმა** – სხმა (მოიბა – მოისხა, აბია – ასხია); **დაცმა** – დასხმა (თავს დაეცა – თავს დაესხნენ); **ყვანა** – სხმა (წაიყვანა – წაასხა, გამოასხა – „გამოასხა ერი იგი“ მთ. 8,25); **ღება** – სხმა (დაღება – დასხმა); **განძება** – განსხმა (ძველ ქართულში ჩვეულებრივი იყო ამ ზმნათა ფუძეების მონაცვლეობა პირდაპირ ობიექტურ პირთა რიცხვის მიხედვით: ჯელი დასდვა – ჯელნი დაასხნა; განამეს იგი გარე (ი. 9,35) – ეშმაკნი მრავალნი განასხეს (მრ. 6,13) (შანიძე 1973: 505, 543).

ილია აბულაძის ძველი ქართულის ლექსიკონში **სხმა** სახელის განმარტებაში (ბუდეში) დადასტურებულია შემდეგი მნიშვნელობები და სინონიმური ვარიანტები:¹¹ შობა; მოყვანა, მოგვრა; ქონება, „დგმა“; ყოლა, სმა; ღება; აცმა, მოსხმა; „დანერგვა“, დარგვა; აყვანა... „დგმა“, ქონება. იხ. აღმოსხმა, აღსხმა... გამოსხმა, განსხმა, გარდამოსხმა, გარდასხმა, გარე-მოსხმა, დამასხმელი, დამსხმელი, დასხმა, დასხმითი, დასხმული, ზედ-მოსასხმელი, თავს-სხმა, თავწარსხმული, მისხმა, მომსხმელი, მოსხმა, მსხმო, პირის-დასხმა, უკუ-მოსხმა, შესხმა, შვილთ-სხმა, ჩამოსხმული, ჩასხმა, წარსხმა, ჯელთ-სხმა... (აბულაძე 1973).

¹¹ბრჭყალებში რედაქციული ვარიანტებია დამოწმებული.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, **სხმა** ზმნა თავის თავში ერთდროულად მოიცავს ისეთ საპირისპირო მნიშვნელობებს, როგორიცაა „დგმა, დამკვიდრება“ და „განსხმა, გაძევება“.¹²

ვფიქრობთ, შესაძლოა **მსხემ-ი** || **სხემ-ი** (**მსხემობა**) ს ხ მ ა (**განსხმა** „გაძევება“)¹³ ზმნისაგან მომდინარეობდეს, არქაული ალტერნაციის [ზმნური და სახელური] ფუძეთქმნადობის გზით¹⁴: **სხემ-ი** – **სხამ-** [ისევე, როგორც: ძლენი – ძლუნ-, მეტი – ჰმატს, მელი – მალვა და ა.შ.]; **მ-** პრეფიქსი კი, მანიაში მიმღეობების ანალოგიით გვიან უნდა იყოს გაჩენილი, შდრ.: ოშკურ რედაქციაში დადასტურებული **სხემ-** ფუძე: „**სხემ** ყვნა ნაბუქოდონორ მეფემან“ O, – „რომელნიცა წარსტყუნა ნაბუქოდონორ მეფემან“ ps., ნემ. 7,6...

(**მ**)**სხემი** ისაა, „**ვინც განიდევნა, ვინც გააძევეს**“: (**მ**)**სხემი** – „განძეული“, გა(ნ)ძევებული, განდევენილი; ვინც განიდევნა, ვინც გააძევეს („გასახეს“).

და შესაძლოა, როგორც სახელი **ადამი** გახდა ზოგადად **ადამიანის** აღმნიშვნელი (ცნების განმსაზღვრელი), ასევე **მსხემი** – „სამოთხიდან გამოძევებულ ადამიანთა, საწუთროს მკვიდრთა, წუთისოფელში მცხოვრებთა, ამსოფლის მდგ(მ)ურთა“ აღმნიშვნელ სახელს წარმოადგენდეს.

¹² ტიპოლოგიურად შეიძლება **ლტოლვა** და **ლტოლვილი** გავიხსენოთ.

¹³ **განსხმა** „გაძევება“, **განჯდა** „განძევა“, „განსხმა“, „განვლინება“, განთქუმა“, გაძევება, „განდევნა“... (აბულაძე 1973); შდრ. ქეგლის ახალი რედაქცია (ძველში არ არის): „**განასხამს** ძვ. განდევნის, გააძევებს მრავალს, გაყრის... **განსხმა** ძვ. სახელი განასხამს ზმნის მოქმედებისა, – განდევნა, გაძევება (მრავლისა), გაყრა... (ქეგლ 2010).

¹⁴ შესაძლოა, (**მ**)**სხემი**-ი ეკუთვნოდეს იმ არქაულ სახელთა კატეგორიას (ე.წ. „ძირეულ სახელებს“), რომელშიც არ არის ასახული, დიფერენცირებული „სახელზმნური“ სემანტიკა, არ არის გამოკვეთილი ატრიბუტული თუ სუბსტანციური ფუნქცია. ამგვარი ფუძეები შეიძლება ვლინდებოდნენ საწყისის, სასუბიექტო თუ საობიექტო მიმღეობის, ატრიბუტივის, სუბსტანტივის სემანტიკით. „შეიძლება საგანი რაღაც მოვლენის წყაროდ (ძირითად მიზეზად) გვევლინებოდეს, შეიძლება თვითონ იყოს არსობრივი შედეგი... (შდრ. **კუეთი**-ი სიტყვის ძირითადი განმარტებები: „მკვეთი“ და „კვეთილი“) (არაბული 2001: 305).

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973 – აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

არაბული 2001 – არაბული ა., ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი, 2001.

გიგინეიშვილი 1989 – „წიგნი ძუელისა აღთქმისანი“, ნაკვ. 1 [შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ], ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა, თბილისი, 1989.

დანელია 1987 – ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები), ტ. 1, ნაწ. 1, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კორნელი დანელიამ, თბილისი, 1987.

დანელია 1998 – დანელია კ., უცხო ენათა გავლენის კვალი ძველ სამწერლობო ქართულში, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. 1, თბილისი, 1998.

ლერნერი... 1991 – ლერნერი კ., ბინიაშვილი ლ., გერძირის ისტორიისათვის ქართულში, ეტიმოლოგიური ძიება-ნი, V, თბილისი, 1991.

ლექსიკოგრაფია 1967 – დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, თბილისი, 1967.

ლოლაშვილი 1964 – „ძველი ქართველი მეხოტბენი, II, იოანე შავთელი, აბდულმესიანი [თამარ მეფის და დავით სოსლანის შესხმის], გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1964.

სარჯველაძე 2001 – სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001.

სულხან-საბა 1991 – ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I, თბილისი, 1991.

სულხან-საბა 1993 – ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, 58

გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურ-
თო ილია აბულაძემ, ტ. II, თბილისი, 1993.

ქეგლ 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკო-
ნი (რვატომეული) ტ. V, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით,
თბილისი, 1958.

ქეგლ 2010 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ტ. II, ახალი რედაქცია, მთავარი რედაქტორი ავთანდილ არა-
ბული, თბილისი, 2010.

შანიძე 1973 – შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის
საფუძვლები, თბილისი, 1973.

შანიძე 2008 – შანიძე მზ., სტატია ენციკლოპედიიდან
„ქართული ენა“, თბილისი, 2008.

ჩუბინაშვილი 1984 – ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუ-
სული ლექსიკონი, თბილისი, 1984.

ჩუბინაშვილი 1973 – ჩუბინაშვილი ნ., რუსულ-ქარ-
თული ლექსიკონი, თბილისი, 1973.

წიგნნი... 1990 – „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი“, ნაკვ.
2 [ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორე სჯულისაჲ], ყველა
არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს
ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ
და ციალა ქურციკიძემ, თბილისი, 1990.

ჭავჭავაძე 1986 – ჭავჭავაძე ალ., თხზულებანი
(ლექსები, ნარკვევები, დრამების თარგმანები, წერილები).
შეადგინა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, შენიშვნები
და ლექსიკონი დაურთო ირაკლი კენჭოშვილმა, თბილისი,
1986.

ჭელიძე 2012 – ჭელიძე ე., მართლმადიდებელი ეკლე-
სია და ეროვნულობა, ჟურნალი „გული გონიერი“, №1 (4),
თბილისი, 2012.

Nino Khakhiashvili

TOWARDS THE HISTORY OF THE WORD *MSKHEMI*

Summary

The word **mskhemi** is confirmed only in ancient Georgian texts (mainly in the books of the Old Testament and Psalms) under the meaning of “sojourner”, “pauper”, “dweller of this earthly world”.: „*msxem var shen tsinshše da tsarmaval, vitarca qovelni mamani chuenni*“. «I am a pauper before you and temporary, like all our fathers” (Ps. 38,13).

Mskhemi and **mtsiri** are often attested as parallels, synonyms in ancient Georgian literary sources. They correspond to the terms of the original in the Bible (in Hebrew - to words with **ger-** roots, and in Greek – to *paroikia* and terms derived from it). In ancient times, the translation of biblical books was treated with special fear and respect of God, and it is clear that the believer Christian translator who translated the Bible - the “word of God” - into the national language tried to understand the original meaning as much as possible and conveyed it without individual interpretation, therefore the **mskhemi** accurately conveys the original content: **Mskhemi** **“is the one who was driven out, the one who was hounded out” - “sojourner”, “pauper”, “dweller of this earthly world”*... This knowledge and teaching also comes from the Bible: Adam was driven out of Paradise, and with him, the whole humanity was also driven out...

And just as the name **Adam** became a signifier of a **human-being** in general (defining the concept), so **mskhemi** should denote *“the people expelled from heaven, the inhabitants of the earthly world, the inhabitants of this earthly life”*.

ქეთევან ჯერგალიძე

„სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“ (სამეცნიერო-ლიტერატურული ესე)

ჩვენ, ვისაც საბჭოთა პერიოდის სკოლაში გვივლია ძველ დროს, ეს სიტყვები გვახსოვს ბარათაშვილის მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილიდან, რომელსაც თარიღად უზის 1842 წელი, 31 ოქტომბერი, ტფილისი. მთელი წერილიც კი ვიცოდით ბევრმა მაშინ ზეპირად. სხვადასხვა გამოცემებში ბარათაშვილის შემოქმედებისა ზემოხსენებული სიტყვები ბრჭყალებში არ გახლავთ ჩასმული, არადა უნდა იყოს. „ბრჭყალები“ კი იმაზე მიაწინებებს, რომ როდესაც ეს კრებულები დგებოდა, ჯერ კიდევ არ იყო შემჩნეული სტრიქონის სახარებისეული წარმომავლობა, მუხედავად იმისა, რომ რომანტიკოსთა კავშირი ქრისტიანობასთან, ბიბლიასთან უკვე კარგად ნაცნობი თემა გახლდათ. თვით ბარათაშვილის დროს კი ეს სასვენი ნიშანი, დღევანდელი სახით, იყო მაინც ახალი ხილი, სახარების ცოდნა კი – ისტორიული, ორგანული, სისხლში გამჯდარი, ამდენად, საკუთარი და სულაც არ საჭიროებდა ბრჭყალებს.

ზოგთ ალბათ ეს სტრიქონი ახლაც ბარათაშვილის საკუთრება ან უკეთეს შემთხვევაში სახარებიდან მომდინარე სიტყვების პერიფრაზი ჰგონიათ: მათ. 8, 20: „ჰრქუა მას იესუ: „მელთა ჯურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო მესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“.

სახარების თანამედროვე ქართულ თარგმანში, რომლის მუხლებსაც მიწერილი აქვთ, სად შეიძლება მსგავსი პასაჟების ნახვა, არანაირი მითითება არ უზის, არადა ის მეორდება ლუკას სახარებაშიც: 9, 58. „ჰრქუა მას იესუ: „მელთა ჯურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო მესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“. არც მას აქვს რაიმე მითითება.

ცხოვრება დაუნდობელია, მისგან გულნატკენი – ბევრი და ამ სახარებისეულ ნათქვამს მაცხოვრისას მერე იოანე მოსხივ გამოიყენებს თავის 55-ე ნოველაში, ასევე ისტორიკოსი პროკოპი კესარიელიც. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფსალმუნშიც გვაქვს არა მთლად იდენტური, მაგრამ მაინც მსგავსი პასაჟები: 43 (84) 4. „და რამეთუ სირმანცა პოვა თავისა თვსისა სახელი და გურიტმან ბუდე თვსი, სადა დაისხნეს მართუენი თვსნი“; 103, 17-18. „მუნ მფრინველთა მართუე-ისხან, და ბუდე ყარყატთა შერაცხილ მათდა. მთანი მაღალნი ირემთა, კლდენი შესავედრებლად ყურდგელთა“. ესაიასთანაც: 53, 3. „არამედ სახემისი უპატივო დამოკლებულ უფროს ყოველთა ძეთა კაცთასა. კაცი მყოფი წყლულებასა შინა და მეცნიერი თავს-დებად გუემულებასა, გარე მიიქცია პირი მისი, უპატივო იქმნა და არ შეირაცხა“. აქ კი ამ მეგლებს შორის ქრონოლოგიურ პირველობაზე ბიბლიოლოგთა დავაში ვეღარ ჩავერთვებით ჩვენი არაკომპეტენტურობის გამო.

პასაჟი – „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?!“ – უცხო არ არის 1945 წელს ნაგჰამადში (ეგვიპტე) აღმოჩენილ კოდექსში შესულ თომას გნოსტიკური სახარებისთვისაც. ეს პაპირუსზე გადაწერილი კოდექსი მეოთხე საუკუნით თარიღდება, ტექსტები კი უფრო ძველია, I-III საუკუნეების, დაწერილია კოპტურად, თუმცა ბერძნულიდან თარგმნილად მიიჩნევენ. ვარაუდობენ, რომ კოდექსი პახუმი დიდის (292-346-348) მიერ დაარსებულ მონასტერს ეკუთვნოდა, რადგან ეს სავანე კოდექსის აღმოჩენის ადგილიდან სულ რამდენიმე კილომეტრშია. ამას გარდა, სამარხი IV საუკუნის ბოლოს განეკუთვნება, ათანასე დიდის (295 -373) ბრძანებულებაც არსებობს იმდროინდელი არაკანონიკური წიგნების განადგურების შესახებ. და აი სწორედ ამ თომას გნოსტიკურ სახარებაში,

რომელსაც „მეხუთე სახარება“ უწოდეს თავდაპირველად, ვკითხულობთ:


რუსულ ენაზე თომას სახარების მუხლი

90. Иисус сказал: „[Лисицы имеют свой норы] и птицы имеют [свои] гнезда а Сын человека не имеет места, чтобы прекланить свою голову (и) отдохнуть“... (перевод на русский, комментарии, примечания М. К. Трофимова);

ინგლისურად თომას სახარების რამდენიმე თარგმანი არსებობს:

90 (86) Jesus said, «The foxes have their holes and the birds have their nests, but the son of man has no place to lay his head and rest» (<http://www.earlychristianwritings.com/thomas/gospelthomas86.html#>); აქვეა ინგლისურ ტექსტთან ერთად კოპტური ტექსტიც შესაბამისი მუხლისა (მთლიანი კოპტური ტექსტი იხ.: http://khazarzar.skeptik.net/books/kat_thoc.pdf);

კოპტური თომას გნოსტიკური სახარების ტექსტის ფოტოპირი სამი ინგლისური თარგმანით:



<http://www.earlychristianwritings.com/thomas/gospelthomas86.html>

გერმანულად თომას გნოსტიკური სახარების მუხლი: Logion 86 (1) Jesus spricht: [Die Füchse haben] ihre Höhlen, und die Vögel haben ihr Nest. (2) Aber der Menschensohn hat keinen Ort, sein Haupt hinzulegen (und) auszuruhen“ (<https://www.heiligenlexikon.de/Literatur/Thomas-Evangelium.html>).

ბერძნული კანონიკური სახარება: 8. 20: „καὶ λέγει αὐτῷ ὁ Ἰησοῦς· αἱ ἀλάσκες φαλαῖς ἔχουσιν καὶ τὰ πετεῖνα τοῦ οὐρανοῦ κατασκήνωσεν, ὁ δὲ σὺς τοῦ ἀνθρώπου οὐκ ἔχει ποῦ τὴν κεφαλὴν κλίνει“;

რუსული კანონიკური სახარება: Матф. 8, 20. „И говорит ему Иисус: „лисицы имеют норы и птицы небесные - гнезда, а Сын Человеческий не имеет, где приклонить голову“.

წარმოიდგინეთ, რომ არც ეს გახლავთ სათავე ჩვენთვის საინტერესო გამოთქმისა. თუმცა კარგია, რომ მისი სახარებისეული წარმომავლობა დავადგინეთ (ჩვენ ეს სხვა სტატიაშიც გვაქვს აღნიშნული). რატომაუნდა, ბარათაშვილს, ფრიად საპატიო მიზეზთა გამო, არც თომას გნოსტიკური სახარება ეცოდინებოდა და არც ის ძეგლი, რომელზეც ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ, რადგან ეს ძეგლები მის დროს ჯერ არ იყო აღმოჩენილ-შესწავლილი და გამოცემული...

უფრო შორს უნდა წავიდეთ, უფრო ღრმა წარსულში და მივადგეთ შუამდინარულ ეპოსს გილგამეშისა. საბედნიეროდ, გვაქვს დღეს მისი ქართული თარგმანი, ზურაბ კიკნაძის მიერ შესრულებული, თორემ თავიდან, როდესაც მე პირველად ამ სტრიქონს გავეცანი 1899 წელს რუსულად გამოცემულ „რელიგიათა ილუსტრირებულ ისტორიაში (Иллюстрированная история религий, М., 1899: 190), ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ გილგამეშის ეპოსი ქართულად 1963 წელს იყო გამოქვეყნებული და მამაჩემს თავის ბიბლიოთეკაში ედო... იმ რუსული წიგნიდან კი ბევრი ვერაფერი გავიგე მაშინ, ალაგ-ალაგ მესმოდა. რამდენადაც ეგვიპტური, შუამდინარული, ზოროასტრული მხიბლავდა გაუგებრადაც, არ მესმოდა, მაგრამ მხიბლავდა, თითქოს ჩემი იყო, იმდენად ვერ ვღებულობდი ინდურს, ჩინურს, იაპონურს და ეს ახალგაზრდული დამოკიდებულება მასალისადმი ხანდაზმულობამდე გამომყვა. მერე უნივერსიტეტი დავამთავრე და სამივე რელიგია და მითოსი უფრო უკეთ შევისწავლე ბერძნულ-რომაულთან ერთად. ერთი კია, მაშინ, ადრე, ძალიან ახალგაზრდამ, მცირემცოდნემ, მაშინვე დავიჭირე მსგავსება ზემორე ხსენებული სტრიქონისა ბარათაშვილთან და მოვნიშნე ფანქრით, ან როგორ ვერ დავიჭერდი, როდესაც „წერილი მაიკო ორებლიანისადმი“ ზეპირად ვიცოდი? აი ეს სტრიქონიც: „Бель ненавидит меня,

поэтому я не хочу больше жить в вашем городе, на земле Бела мне не так мила, где приклонить голову“ (ბუნებრივია, რეფორმამდელი შრიფტია).

რა თქმა უნდა, მაშინ არც ბარათაშვილის წერილის პასაჟის სახარებისეულ სათავეზე ვიცოდი რაიმე, არც „გილგამეშიანზე“. მერე მქონდა ბედნიერება ბატონი ზურაბ კიკნაძის თარგმანთან შეხვედრისა, არსებული წიგნის აღმოჩენისა, ისიც საკუთარ სახლში. ყოფილა დიდი ქართველის, მიხაკო წერეთლის (1878-1965) პირველი თარგმანიც „გილგამეშიანისა“, 1924 წელს კონსტანტინეპოლში გამოცემული, რომელსაც, სამწუხაროდ, დღესაც არ ვიცნობ. გაცოდები კაცი, ასეთ გაუსაძლისებშიც კი წერეთლისებრი მამულიშვილები ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ მსოფლიოს კულტურულ პროცესებს, ახალ აღმოჩენებს და, დევნილთ სამშობლოდან, სამშობლოზე ეზრუნათ. მიხაკო წერეთელს თარგმანის გამოცემაში კათოლიკე ქართველთა გამომცემლობა დახმარებია... მიხაკო წერეთელს კიდევ ბევრი ნაშრომი ეკუთვნის, მაგრამ მისი პიროვნება იმითაცაა საინტერესო, რომ ის იროდიონ ევდოშვილთან ერთად მიეკუთვნებოდა იმ მცირერიცხოვან ქართველებს, რომლებმაც ილიას მკვლელობის (1907) შემდეგ პროტესტის ნიშნად რსდმპ დატოვეს...

უღრმესი მადლობა ბატონ ზურაბ კიკნაძეს „გილგამეშიანისთვის“, „შუამდინარული მითოლოგიის“, „ქართული მითოლოგიის“ და კიდევ ბევრი სხვა ნაშრომისთვის. დიდი მადლობა, ასევე, მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ქართველ მკვლევრებს: გურამ ასათიანს, ჯუმბერ ჭუმბურიძეს, რევაზ სირაძეს, აკაკი ურუშაძეს, რისმაგ გორდეზიანს, მიშა კვესელავას, იუზა ევგენიძეს, გრივერ ფარულავას და სხვათაც...

მაგრამ პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ, გადავშალოთ აშურ ბანიფალის ბიბლიოთეკაში (1849) ჯორჯ სმიტის მიერ 1872 წელს გამოვლენილი „გილგამეშიანის“ (გილგამეში შუმერული ურუქის მეფე, შუმ. giligameš -- მეფე გმირთა (XXVII-XXVI სს.) – უბრწყინვალესი შუმერულ-აქადური ეპოსის ფაუსტური პერსონაჟი) – ტექსტის ქართული თარგმანი. თუ ჰომეროსის პოემებით იწყება ევროპული ლიტერატურა, უცნობი ავტორის „გილგამეშიანიც“

ასეთივე დასაბამია აღმოსავლური ლიტერატურისა. გადავფურცლოთ ეს ჩვენი, 1963 წლის ქართული გამოცემა, 81-ე გვერდი, დაფა მეთერთმეტე, რომელშიც მოთხრობილია კაცობრიობის თავს დატეხილი წარღვნის წინა პერიპეტეები და თვით წარღვნის ამბავიც: ბიბლიური ნოეს წინამორბედი წარღვნის გმირი, ასურული ტექსტების უთანაფიშტიმი, მზის ქალაქ შურუპაკის („კეთლდღეობის ადგილი“) მცხოვრები (შუმერული ზიუსუდრა – „ხანგრძლივმცხოვრები“), ბაბილონური ტექსტების ათრახასისი („სიბრძნით აღმატებული“), როდესაც ღმერთები მას წარღვნისგან გადასარჩენად ხომალდის აგებას მოსთხოვენ, ის ეას, სიბრძნის ღმერთს, ასე მიმართავს:

„მე შევისმინე და აღვასრულე,
მაგრამ რა მივუგო მოქალაქეთ და უზუცესობას?“
ეა ეუზნება, უპასუხე: „გავიგე, შემიძულა ენლილმა,
ველარ დავდგები თქვენს ქალაქში,
ველარ შევხედავ ენლილის მიწას“...

ვნახოთ ამ ძეგლის რუსული თარგმანიც, დიდი რუსი მეცნიერის ი. მ. დიაკონოვის (აღმოსავლეთმცოდნე, ასირიოლოგი. 1915-1999) მიერ შესრულებული და გამოცემული 1961 წელს:

«А ты такую им речь промолви:
«Я знаю, Эллий меня ненавидит, -
Не буду я больше жить в вашем граде,
От почвы Эллия стопы отвращу я“.

რუსულად არსებობს ცნობილი რუსი პოეტის, ნიკოლოზ გუმილიოვის (1886-1921; ბოლშევიკებმა დახვრიტეს) თარგმანიც, 1918 წ.:

„Вот, что расскажешь ты толпе и старцам:
– Я ненавистен Белу и жить не буду в городе вашем
На землю Бела ноги не поставлю,
Я спущусь к океану, буду жить с Эа, моим господином“.

ბელი და ენლილი ერთი და იმავე ღმერთის განსხვავებული სახელებია.

როგორც ვხედავთ, კანონიკურ და გნოსტიკურ სახარებებში არსებული სტრიქონი – „სად მიიდრიკოს თავი“ – რომელიც გვხვდება ასევე 1899 წლის „რელიგიათა ილუსტრირებული ისტორიის წიგნში“, აკლია

„გილგამეშიანის“ როგორც ქართულ, ასევე ორ რუსულ თარგმანს. ნეტავ როგორაა ის მიხაკო წერეთლისეულ თარგმანში, რომელიც არასრულია? შედის კი ეს ჩვენთვის საინტერესო სტრიქონი მასში?..

რაც შეეხება ბარათაშვილის წინადადების ნაწილს – „სად განისვენოს სულმა“ – (и отдохнуть)... ეს მხოლოდ თომას გნოსტიკურ სახარებაში გვაქვს და იმ „რელიგიათა ილუსტრირებულ ისტორიაშიც“ არ არის. არ ვიცი, ამას რა უნდა ვუწოდო, თუ არა წარსულში არსებული უხსოვარი დროის აზრის უკვე მეტაფიზიკურიდან გამომდინარე?

არის კიდევ ერთი უაღრესად საინტერესო ფაქტი, ერთი შეხედვით ამ თემას რომ არ ეხება. უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, ჯვარზე გაკრული, ელობით მიმართავს მამადმერთს: „ელი, ელი, ლამა საბაქტანი – უფალო, უფალო რად დამიტევებ (მიმატოვებ, წილი რატომ დამიკარგე, ჩემზე ხელი რატომ აიღე? (ქ. ჯ.) – „Ελῶν Ἐλῶν λιμὰ σαβαχθανί; ὃ ἔστι μετρημῶνευόμενον, ὃ Θεός μου ὁ Θεός μου, εἰς τί με ἐγκατέλιπες“ (მთ. 27: 46; მრ. 15:34).

სიტყვას საბაქტანი სახარების ბერძენი მთარგმნელი თარგმნის, მაგრამ ის გრეციზმიც ჩანს და ირანიზმიც – ინდოევროპულია. ბერძნები ჰომეროსის დროიდან მაინც იცნობდნენ ბოროტ დემონ საბაქტეს-ს – Σαβᾶκτης, რომელიც მეთუნიებს ნაწარმს უმსხვერვედა, ამიტომ ხელოსნები მას და მის ორ „კოლეგას“ შეწევნას ევედრებოდნენ ხოლმე ნაწარმის გამოწვისას. სწორედ ჰომეროსის მიეწერება „ბერძენ მეთუნიეთა სიმღერა“.

ბახტ ირანულში ზუსტად ხვედრებულსა და წილგდებულს ნიშნავს, სისრულიდან რაღაცის მიმღებს ან დამკარგავს. როგორც ჩანს, მთელი წინა აზია იყენებდა ამ სიტყვას. ქართულ გვარებშიც გვაქვს (ბახტ-ა-ძე, საბახტარ-ა-შვილი, ბახტ-ური-ძე) და უნდა აღნიშნავდეს ან წილიდან გაძევებულს, უწილკერძოს – როგორც ჩვენში დაატირებენ ხოლმე, ლიხს აქეთ, უშვილძიროს – „შე უწილკერძოვო“, ან პირიქით, წილის მიმღებს. მაცხოვრის სიტყვებში სწორედ მამის მიერ ხელის აღებაზეა საუბარი, შვილისათვის წილის დაკარგვაზე, უადგილობაზე ამ წუთისოფელში. და თუ ეს სიტყვები მაცხოვარს დასცდა, აბა რა გასაკვირია, მოკვდავი ადამიანისთვის კიდევ უფრო წიაღისმიერი ყოფილიყო?

„როს მხედეს ამ სოფლად ჩემი წილობა?“ – განა ასე არ ამოიკვნესა ბარათაშვილმაც, ინსპირატორმა ამ ესესი?!

„ელი, ელი, ლამა საბაქტანი“ – ესენინსაც (1895-1925) აქვს გამოყენებული ერთ ლექსში „Проплясал, проплакал дождь весенний...“ ოღონდ ბიზანტიური გამოთქმით: სავახფანი – სავახფანი:

Навсегда простер глухие длани

Звездный твой Пилат.

Или, Или, лама савахфани,

Отпусти в закат (1916/1917).

დიდ ფრანგ პოეტს, სიმბოლისტ პოლ ვერლენს (1844-1896) კი, ყველასგან, მეგობრებისგან მიტოვებულს, სიკვდილის წინ აღმოხდომია რიტორიკულ შეკითხვად მაცხოვრის სიტყვების პერიფრაზი: „ჩემო ძმებო, ჩემო ცუდო ძმებო, რისთვის დამივიწყეთ მე?!“

აქამდე ვიცოდი, რომ გამოთქმა „ელი, ელი, ლამა საბაქტანი“ – მხოლოდ ერთ ქართველ პოეტს, ანა სულხანიშვილს ჰქონდა გაცოცხლებული ქართულ პოეზიაში:

ელი, ელი, ლამა საბაქტანი, –

უფალო, უფალო, რად დამიტევებ?

ამ სოფლად გვირგვინს კაცობის შენის

მქონდეს წარსული, მომძლუენ აწმყო

და სამერმისოც მანიჭე ძალა! (1996).

ახლა, მგონი, მისი წაბადვით თუ წაბადვით სახარებისა, სხვათაც გამოუყენებიათ ეს გამოთქმა, უფრო სწორად, დრომ გაააქტიურა ის. მთავარი მაინც ის არის, რომ, როგორც ვხედავთ, ეს საბაქტანი – σαβαχθანი – ნიშნავს წილიდან გაძევებულს, ანუ ისეთს, ვისაც არ დაედგომება სადღაც, ვისზეც ღმერთმა აიღო ხელი. გამოდის, რომ უხსოვარდროინდელი აზრის, მზის ქვეშეთში ადგილის ვერ პოვნის გამოძნატველი სიტყვების პერიფრაზირება მოუხდენია მაცხოვარს, ჯვარზე გაკრულს და ის, ადგილის არქონა თავის მისადრეკისა, თავისთავად დასცდენია მას, თითქოს გულის ფიცარზე ჰქონოდა დაწერილი...

ჩვენი ფიქრები ამ საკითხის ირგვლივ არასრული იქნება, თუ არ გავიხსენებთ მომთაბარე თურქ-სელჩუკებსაც, აზიის სტეპებიდან სამოვრების ნაკლებობის გამო დამრულთ

დასავლეთისკენ. თურქების ელჩები მოწინააღმდეგეებთან მოლაპარაკებების დროს სულ იმას უსვამდნენ ხაზს, რომ „მათ დედამიწაზე ადგილი არ აქვთ“. X საუკუნიდან იწყება მათი, თურქების, ისლამიზება. ისლამიც ძველ აღთქმაზე დამყარებული რელიგიაა, თუმცა აღმოსავლეთში ამ დროს ძალიან ძლიერი იყო ქრისტიანობის ნესტორიანული მიმართულება და ეს გამოთქმა, შესაძლოა, თურქ-სელჩუკებს უფრო სახარებიდანაც ჰქონოდათ შეთვისებული. ისიც შეიძლება, რომ მუდმივმა ხეტიალმა ჩამოუყალიბათ ასეთი აზრი მათ.

საკუთარი ადგილის ძიება მზისქვეშეთში საუკუნეთა განმავლობაში იყო ებრაელი ერის ხეტიალის მიზეზიც. სხვათა შორის, ბაირონს (1788-1824) „ებრაულ მელოდიებში“ აქვს ეს უძველესი დროიდან მომდინარე ციტატა გამოყენებული, ოღონდ მასთანაც, როგორც ბარათაშვილთან, ფსალმუნურ-სახარებისეულია. მართალია, უდიდეს ინგლისელ პოეტთან მუხლი თავიდან ბოლომდეა წარმოდგენილი, მაგრამ მეორე ნაწილი – „ხოლო მესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“ – მთლიანად პერიფრაზირებული და ალუზირებულია. ლექსის სახელწოდებაა: „Oh! Weep for those“:

The wild-dove hath her nest, the fox his cave,
Mankind their country—Israel but the grave!

Нора есть у лисы, гнездо – у птицы,

A у тебя остались лишь гробницы (დიმიტრი მინაევსი (1835-1889) თარგმანი, 1863 წ.). ბაირონის ამ ლექსის ბევრი რუსული თარგმანი არსებობს.

საკუთარი ადგილის, საკუთარი წილის ძიება მზის ქვეშეთში, მომდინარე უხსოვარი დროიდან, ბაირონის შემდეგ ბაირონიზმდაც იქნა სახელდებული. ცნობილია ბაირონის სიტყვაც, 1812 წელს ებრაელთა დასაცავად ლორდთა პალატაში წარმოთქმული. ბაირონი ქომაგი იყო სხვა დაჩაგრული ერებისაც...

ბაირონის „ებრაული მელოდიებიდან“, სახელდობრ ამ ლექსის – „სტიროდეთ“ – გავლენა განუცდია დიდ რუს რომანტიკოს პოეტ მ. ლერმონტოვსაც (1814-1841), წერდა რა ის, სრულიად ახალგაზრდა, ტრაგედიას „ესპანელები – Испанцы“. მ. ლერმონტოვს ლექსებიც აქვს სახელწოდებით

„ებრაულია მელოდია“ და ეს თემა, ეს ზემოქმედება, ინტერტექსტუალური დამოკიდებულება ბაირონისა და ლერმონტოვის შემოქმედებათა შორის მთლიანად შესწავლილი აქვს რუსულ ლიტერატურულ კრიტიკას (О влиянии «Еврейских мелодий» Байрона на трагедию Лермонтова „Испанцы“. <http://lermontov-lit.ru/lermontov/articles/vorobev-o-vliyanii-evrejskih-melodij-bajrona.htm>).

„ებრაული მელოდიებიდან“ დიდი ინგლისელი პოეტის სწორედ ეს ლექსი „Oh! Weep for those“ 1858 წლის 23 თებერვალს უთარგმნია ილიასაც, სახელწოდებით „სტიროდეთ“, ბოლო სტრიქონები მაინც ზედმიწევნით ზუსტად. ლექსის სათაურში ლექსემა Weep – სტიროდეთ, მოსთქვამდეთ, ძალიან ჰგავს ქართულ ვაებ-ა-ს, ვაებდეთ, ძველბერძნულ βαβαι-ს: ქართ. ვაი-ვაი; მეგრ. ვავა -ს; სვან. აბაბად; მოხევ. აბაიმე (ქართული, მოხეური აბაიმე და სვანური აბაბად, უფრო ახლოს დგას ძველბერძნულთან, ქართული ვაი-ვაი და მეგრული ვავა კი – ძველბერძნული βαβαι-ს ბიზანტიურ გამოთქმასთან). ეს ისე. არ იქნებოდა გამოკვლევა ურიგო... როგორც ჩანს, ადამიანები ყველა დროსა და სივრცეში მსგავსი ბგერებით ვგოდებთ. ჩვენს ქართულს კი კარგად გამოსდის შორისდებულების გაარსებითებაც და ზმნად ქცევაც...

...მელას აქვს ხვრელი და თვის ბუდე – ჩიტს,

კაცსა – სამშობლო, და ისრაელსა –

არარა, გარდა თავის საფლავებისა! (ილიას თარგმანი).

ამ დროს, ბატონებო, ამბობენ, სამშობლო საფლავებით იწყებაო...

ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ ჩვენი დიდი მოაზროვნე – პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, რედაქტორი და გამომცემელი, ქართულ და საკაცობრიო აზრის მდინარებას მიყურადებული და მისი მპყრობელი – ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდობიდანვე დაინტერესებულა ებრაული საკითხით, ანუ, მძიმე მდგომარეობაში მყოფი სხვა ერების საკითხითაც. აღარაფერს ვამბობთ მისი პუბლიცისტური წერილის შესახებ – „ებრაელთა საკითხზე“... იმ დროს უკვე დაწყებული იყო ებრაელთა მიერ ძველ იუდეაში მიწის ნაკვეთების შესყიდვის პროცესი სამშობლოს დასაბრუნებლად...

ზარემ აქვე ვიტყვით, რომ ილია დიდ ადგილს უთმობს ბაირონის მიმოხილვასაც თავის პუბლიცისტურ

წერილში – „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას მის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“: „რომელსაცა [ბაირონს] ცრემლის მაგიერ მდუღარე ტყვია ჰსცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა მეხი“ – და ესეც მაშინდელი რუსული და არა მხოლოდ რუსული, კრიტიკული აზრის გამოძახილია ბაირონის მისამართით...

ცხადია, კიდევ ექნებათ სხვა კლასიკოსებსაც – ჰაინესაც (1797-1856) აქვს ლექსი „ებრაული მელოდია“ და მსგავსი წინადადება ციკლში ლექსებისა „უცხოეთში 4“, ღრმა ალუზია – „ერთხელ სამშობლო მეცა მქონდა დიდ მშვენიერი“, მაგრამ გერმანიასთან მიმართებით ამბობს ის ამას, საფრანგეთში ცხოვრებისას) – გამოყენებული ეს ფსალმუნურ-სახარებისული ნაწყვეტი ან მისი ნაწილები, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, მეტი არ გვახსენდება. მთავარი მაინც სათავეა და ის მიგნებულია...

ბაირონის „ებრაულ მელოდიებს“ მერე ტიციან ტაბიძეც გამოეხმაურება ამავე სახელწოდების ლექსით; აი ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი (490/507-565) კი ვანდალებთან ომში ზედის ცვალებადობის შესახებ დაწერს: „ჰაიზერიხის მეოთხე თაობის წარმომადგენელი დიდი სიმდიდრისა და სამხედრო ძალის პატრონი გაანადგურა ხუთი ათასმა მისულმა, „რომელთაც გასაჩერებელი (куда пристать) ადგილიც არ ჰქონდათო (Procop, B. V., II, 7,20).

ხორციელი და სულიერი ობლობა – უადგილობა მზის ქვეშეთში, შემდეგ „ზედმეტი ადამიანის“ პრობლემა რომ დაარქვეს – აი, ასე ეტმასნება ერთმანეთს საუკუნეთა განმავლობაში და ჩვენს რომანტიკოს ბარათაშვილთანაც მას ორივე სახით ვხედავთ...

ამრიგად, ჩვენ რომ გვგონია, თითქოს რაიმე უკვალოდ ქრება, ის თურმე მაინც განაგრძობს იდუმალ, უჩინარ არსებობას, თაობიდან თაობას გადაეცემა, იცვლება, იფიტება და მერე მაინც სადღაც ამოხეთქს ხოლმე ზედაპირს, აი, როგორც ულამაზესი ქართული მისამღერი „დელია“ – აპოლონისა და მისი დის, არტემიდეს, ეპიკლესი – ნათელი; „რანიწა/რანუნი“ (ურანია) – აფროდიტეს ეპიკლესი – ზეციურო (მეგრ. ორან-ი ძველბერძნულის დორიული

დიალექტიდან); „ჰორუ დილა“ – ჰორუს აპოლონო – ეგვიპტურ-ბერძნული სახელების კომბინაცია, ორივე ერის მზეებისა – დილის მზევ ან მზის ნათელო; და ჯერ კიდევ ბევრი რამ გამოუკვლეველი: „ჰოოპუნა“, „ოროველა“ – უკვე ჩვენი მზერის არეში მოქცეულნი და კიდევ სხვანი და სხვანი...

ახლა ჩვენ უკვე ვიცით, შეუმცდარად ვიცით, ბარათაშვილის ულამაზესი წერილის სტრიქონში – „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი“ – როგორ ფეთქავენ თუ სუნთქავენ არა მხოლოდ კანონიკური და გნოსტიკური თომას სახარებები, ფსალმუნი თუ ესაია წინასწარმეტყველი, ანუ, არა ორი ათასი ან ორი ათას ექვსასი წელი, არამედ სულ მცირე ხუთი ათასი წელი მაინც ჩვენამდე. ამჯერად კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ როგორც ზოგადად სიცოცხლე, ცხოვრება, ლიტერატურული პროცესებიც უწყვეტია წუთისოფელში და ის ნაირფერ კულტუროლოგიურ პროცესებად განიფინება სივრცესა და დროში...

აი, ასეთი სასწაულები შეუძლია არსთა გამრიგეს, როდესაც ის ვინმეს მეტაფიზიკურის სფეროდან რაიმეს ჰკარნახობს მიწის შვილებისთვის გადმოსაცემად, და მაშინაც, როდესაც უფალი ვინმეში გამოტანებული, მაგრამ უკვე დაკარგული ინფორმაციის ამოსახსნელად მზაობას დალანდავს...

Ketevan Jervalidze**«WHERE CAN THE SOUL REST,
WHERE CAN IT LAY ITS HEAD»
(SCIENTIFIC-LITERARY ESSAY)**

Summary

A Georgian romantic poet Nikoloz Baratashvili (1817-1845), in 1842, on October 31st in a personal letter to his friend Maiko Orbeliani (1817-1849), wrote a line: «Where can the soul rest, where can it lay its head» – a paraphrase from a canonical Gospel, Mathew 8.10: «And Jesus saith unto him, the foxes have holes, and the birds of the air have nests, but the son of man hath not where to lay his head»; (Luke, 9.58; Psalms, 43 (84) 4; 103; 17-18).

According to Ketevan Jervalidze, this line by the Georgian romantic poet is an exact analog of the second half of the 90th article from the gnostic Gospel of Thomas: Jesus says: «[The foxes have holes] and the birds have [their] nests, but the Son of Man has no place to lay his head and rest.» (see also the Coptic script :<http://www.earlychristianwritings.com/thomas/gospelthomas86.html#>); When Baratashvili wrote this letter to his friend, neither epic of Gilgamesh in the library of Ashurbanipal (1849) had been discovered yet by George Smith (1872) nor the gnostic Gospel of Thomas in Nag Hammadi library. Such a coincidental parallel usage of the second half of the 90th article of the Gnostic Gospel by the poet, despite the significant influence of the Gospel and Psalms, is understood and explained by the essay's author as information brought by Baratashvili from a high informational space.

Ketevan Jervalidze, in her scientific-literary essay, demonstrates the origin of the line from the Gospel from the times of creation of the epic of Gilgamesh and the origin of the search for one's own space in this world by humans and nations from century to century.

The present scientific essay contains and reevaluates a lot of noteworthy and significant pieces of information in a culturological way.

ავტორთა მონაცემები

ნოზადი ბართაია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

დალილა ბადიანიძე

ფილოლოგიის დოქტორი

ოზარ გვეტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

სებასტიან (საბა) გილენი

„კომილას პონტიფიკალის“ (Pontificia de Comillas)
უნივერსიტეტის (ესპანეთი, მადრიდი) სტუდენტი

ჟეთევან ჯერგალიძე

საქართველოს ბიზანტიოლოგთა ეროვნული კავშირის
წევრი, დამოუკიდებელი მკვლევარი

ნინო ხახიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას
სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-
თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი.

CONTRIBUTORS

NOMADI BARTAIA

Akaki Tsereteli State University, Professor, Doctor of Philology.

DALILA BEDIANIDZE

Doctor of Philology.

OMAR GVETADZE

Akaki Tsereteli State University, Professor, Doctor of Philology.

SEBASTIAN (SABA) GUILLÉN

A second year student of “Pontificia de Comillas” University (Madrid, Spain)

KETEVAN JERVALIDZE

Member of the National Union of Byzantologists of Georgia, Independent researcher

NINO KHAKHIASHVILI

Researcher at Arnold Chikobava Linguistics Institute of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Philology.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნოზადი ბართაია – სპარსულიდან შემოსული აღმოსავლური
ნასესხობების შესახებ ქართულ ჟარგონში (ვასება, კაიფი,
ოფსილა, სირი, შაყირი) 3

დალილა ბედიანიძე – ცხოველები ქართულ ჯადოსნურ
ზღაპრებში (მგელი, ხარი, ძროხა) 12

ოზარ გვეტაძე – დავით აღმაშენებლის „გალობანი
სინანულისანი“ (ზოგიერთი ასპექტი) 29

საბასტიან (საბა) გილენი – საქართველოდან ესპანეთში
მოსახლეობის მიგრაციის ზრდის განმაპირობებელი
უმთავრესი ფაქტორები (2000 - 2010 წლები) 37

ქეთევან ჯარგალიძე – „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს
თავი?!“ (სამეცნიერო-ლიტერატურული ესე) 48

ნინო ხახიაშვილი – სიტყვა *მსხემ*-ის ისტორიისათვის 61

ავტორთა მონაცემები.....74

CONTENTS

NOMADI BARTAIA - About Oriental borrowings in Georgian that have turned into slang (waseba, kaifi, ofsila, siri, shakiri)	3
DALILA BEDIANIDZE - Animals in Georgian Magical Tales (wolf, bull, cow)	12
OMAR GVETADZE - Davit Agmashenebeli's "Hymn of Repentance" (some aspects)	29
SEBASTIAN (SABA) GUILLÉN - The main factors determining the growth of population migration from Georgia to Spain in the years of 2000-2010)	37
KETEVAN JERVALIDZE - "Where Can the Soul Rest, Where Can It Lay Its Head" (scientific-literary essay)	48
NINO KHAKHIASHVILI - Towards the history of the word <i>mskhemi</i>	61
CONTRIBUTORS	74

ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ნაშრომის ელექტრონული ვერსია
წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:
gelatisakademia1@gmail.com

დამკაბადონებელი

შორენა ხუნდაძე

რედაქციის მისამართი:

ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა, №59.

ტელ.: რედაქტორის: 577 28-28-61;

პასუხისმგებელი მდივნის: 598 10-14-72.

